საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ანგარიში

პესტიციდებისა და კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სფეროში ლიცენზიისა და ნებართვის სისტემის კვლევის შესახებ

პროექტი ხორციელდება
IRIS Centre-ის და USAID-ის მხარდაჭერით

თბილისი, 2004

შინაარსი

შესავალი ... 3
საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ ... 6
ლიცენზია და ნებართვა მცენარეთა დაცვის სფეროში ... 10
სალიცენზიო სახეობები და პირობები ... 10
ლიცენზიის გაცემის წესი ... 12
ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები ... 20
სალიცენზიო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება ... 21
ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და განახლება ... 22
ლიცენზიის გაუქმება ... 22
სანებართვო სახეები და პირობები ... 25
ნებართვის გაცემის წესი ... 27
ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები ... 33
ნებართვის მოქმედების შეჩერება ... 34
ნებართვის გაუქმება ... 34
გასაჩივრების წესი ... 35
სამინისტროში გასაჩივრება ... 35
სასამართლოში გასაჩივრება ... 36
სალიცენზიო-სანებართვო რეესტრი ... 37
სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ... 38
ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი საწარმოების რეორგანიზაცია ... 39
კონტროლის სისტემა ... 40
პასუხისმგებლობა ... 43
ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ... 43
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ... 43
სერტიფიკაცია ... 45
ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი ... 45
შესაბამისობის სერტიფიკატი ... 47
საქართველოში პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაცია, სარეგისტრაციო გამოცდები და ექსპერტიზა ... 49
სახელმწიფო რეგისტრაცია ... 49
სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდები ... 51
სარეგისტრაციო მასალების ექსპერტიზის წესი და ვადები ... 52
რეგისტრაციაზე განაცხადის შევსების და წარდგენის წესი ... 53
სარეგისტრაციო მოსაკრებლები ... 53
პესტიციდების მარკირების წესი ... 55
საქართველოში სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებისათვის საჭირო პესტიციდების შემოტანის წესი ... 58
გამოსაცდელი პესტიციდების ნიმუშების, ეტალონური პრეპარატების, ანალიტიკური სტანდარტების შემოტანის, მიღების სარეგისტრაციო გამოცდების ადგილამდე გადაზიდვის თავისებურებანი ... 58
პრობლემები და რეკომენდაციები ... 60
რეზიუმე ... 61

შესავალი

გარემოს მწვანე საფარი ყველაზე უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. მას არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ ცოცხალი ორგანიზმებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა გააჩნია – ცოცხალი ორგანიზმების არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. თუმცა, თავის მხრივ მცენარეები მოითხოვენ დაცვასა და მზრუნველობას, რადგან მათგან მიღებულ იქნეს ის შედეგი, რაც მათ დანიშნულებაში დევს.

მცენარეთა დაცვის რამდენიმე სახე არსებობს; მათ შორის ძირითადია მცენარეთა დაცვა სამართლებრივი მექანიზმებითა და საშუალებებით და მცენარეთა დაცვა სხვადასხვა პრეპარატების გამოყენებით.

მცენარეთა დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. მცენარეთა დაცვის მიზნით სახელმწიფო ატარებს კომპლექსურ ღონისძიებებს, რის შედეგადაც განსაზღვრულ შემთხვევაში სამართლებრივი აქტებით კრძალავს მცენარეებზე მავნე ზემოქმედებას (მაგ.: მოჭრა, განადგურება, ექსპორტის აკრძალვა), ხოლო მცენარეთა ცალკეული სახეობები შეჰყავს წითელ ნუსხაში. ამით სახელმწიფო ასრულებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას თითოეული ადამიანის წინაშე, რათა შეუქმნას მათ ცხოვრების ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს ფლობდეს და პერიოდულად იღებდეს ინფორმაციას გარემო პირობების მდგომარეობის შესახებ.

მცენარეთა დაცვა სხვადასხვა პრეპარატების მეშვეობით თავისი შინაარსითა და მოცულობით ურთულეს საქმიანობას წარმოადგენს. თანამედროვე განვითარების შედეგად ტექნიკური და სხვა საშუალებებით ყოველდღიურად მიმდინარეობს გარემოს დაბინძურება, ამას ემატება გლობალიზაციისა და საერთაშორისო ტურიზმისა და ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები – ვითარება, როდესაც სახელმწიფოებს შორის საზღვრები პრაქტიკულად იშლება, რთული მიგრაცია, ტვირთბრუნვა – რის შედეგად თავისუფლად შესაძლებელია ერთი სახელმწიფოდან მეორეზე გადატანილ იქნეს სხვადასხვა დაავადებები. ეს, თავის მხრივ, წარმოშობს სახელმწიფო საზღვრებზე რთული კონტროლისა და საკარანტინო სისტემის არსებობის აუცილებლობას, რათა მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები.

მცენარეთა დაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს პესტიციდები. მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობაში. პესტიციდი წარმოადგენს ქიმიურ ან ბიოლოგიურ პრეპარატს, რომელიც გამოიყენება:

- ✓ მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების;
- ✓ სარეველა მცენარეების
- ✓ მავნებლების;
- ✓ მღრღნელებისა და ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ;
- ✓ მცენარეთა ზრდის რეგულირებისთვის;
- ✓ მცენარეთა შესახმობად;
- ✓ ფოთლების მოსაცილებლად;
- ✓ ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის გაუსნებოვნებისათვის.

პესტიციდი დადებითი ეფექტის გარდა შეიძლება ზიანის მომტანიც იყოს. ისინი, რომლებიც არსებით ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ აკრძალულია გამოსაყენებლად ნებისმიერ სფეროში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სარეგისტრაციო ორგანო ზოგიერთ შემთხვევაში ნებას რთავს მათ გამოყენებაზე. ასეთ დროს პესტიციდი მკაცრად შეზღუდულთა რიცხვს მიეკუთვნება.

ვინაიდან პესტიციდების არასწორმა მოხმარებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანსა და გარემოს, შემუშავებულია სპეციალური მოთხოვნები მისი უსაფრთხო გამოყენებისთვის, რაც გულისხმობს მოქმედების ნორმებსა და სტანდარტებს, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის, მცენარეების, ცხოველების ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას.

პესტიციდის მოქმედი ნივთიერება (ბიოლოგიურად აქტიური ნაწილი) ზემოქმედებას ახდენს მავნე ორგანიზმზე ან მცენარის ზრდა-განვითარებაზე. პესტიციდების გამოყენების შედეგად კვების პროდუქტებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ან ცხოველების საკვებში რჩება პესტიციდების მოქმედი ნივთიერება, მინარევები ან ნიტრატები. სწორედ ეს წარმოადგენს ნარჩენ რაოდენობას, რომლის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია გათვალისწინებულია ნორმატიული აქტებით ან საყოველთაოდ მიღებულია კვების პროდუქტებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ან ცხოველების საკვებში. პესტიციდის არასწორი ხმარებით გამოწვეული მოწამვლის შედეგის საწინააღმდეგოდ გამოიყენება ანტიდოტი.

თავისი წარმოშობისა და დანიშნულებიდან გამომდინარე პესტიციდების წარმოება და მიმოქცევა სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. პესტიციდების კონტროლისთვის რამდენიმე ბერკეტი (რეგისტრაცია, სერტიფიკაცია) არსებობს, რომელსაც ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად დაემატა სამეწარმეო საქმიანობაზე ლიცენზიებისა და ნებართვების შემოღება. კერძოდ, ლიცენზირებას ექვემდებარება:

- პესტიციდების წარმოება;
- პესტიციდებით ვაჭრობა;

ხოლო ნებართვა გაიცემა შემდეგ საქმიანობაზე:

- პესტიციდების იმპორტი;
- პესტიციდების ექსპორტი;
- კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი.

✓ **ლიცენზია და ნებართვა არ არის პროდუქციის ხარისხისა და მისი კეთილსაიმედოობის გარანტი. პროდუქციის კეთილსაიმედოობასა და ხარისხს აღასტურებს მისი სერტიფიკატი.**

აღსანიშნავია, რომ პესტიციდების სფეროში დღეისათვის არ მოქმედებს არც ერთი სტანდარტი (გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა). მაშინ პრობლემად რჩება როგორ უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ მცენარეთა დაცვის სფეროში რეალურ შედეგს, რაც დაიცავს მომხმარებელსა და მცენარეებს.

✓ იქნება კი ლიცენზია და ნებართვა ამ მხრივ შედეგის მიღწევის საუკეთესო საშუალება?

- ✓ რითი უნდა განისაზღვროს პროდუქციის კეთილსაიმედოობა ან რას უნდა შეესაბამებოდეს იგი, სანამ შემუშავებული არ არის და სათანადო წესით არ არის დამტკიცებული მცენარეთა დაცვის სფეროში გარკვეული ნორმები და სტანდარტები?

მეწარმეობის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა და არა მათი განხორციელებული საქმიანობით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- ✓ **ლიცენზიისა და ნებართვების შემოღებით სახელმწიფოს ენიჭება უფლება შეამოწმოს („სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონის საფუძველზე) მეწარმეთა საქმიანობა სალიცენზიო/სანებართვო პირობებთან დაკავშირებით.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტროლის განხორციელებისას მაკონტროლებელი ორგანო ვერაფერს ვერ შეუსაბამებს მეწარმის საქმიანობას, თუ არ იქნა შემუშავებული სტანდარტები და ნორმები.

გამოდის, რომ ლიცენზია და ნებართვა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და გარკვეულწილად ბარიერად იქცევა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის.

სფეროს არეგულირებს შემდეგი კანონმდებლობა:

დოკუმენტის სახე	**მიღების თარიღი**
საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ	1998 წლის 25 ნოემბერი
საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ	2002 წლის 14 მაისი
საქართველოს კანონი პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ	2003 წლის 7 მაისი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-261 ბრძანება	2000 წლის 14 ნოემბერი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-258 ბრძანება	2000 წლის 14 ნოემბერი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-262 ბრძანება	2000 წლის 14 ნოემბერი

საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ

საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" მიღებულ იქნა 1998 წლის 25 ნოემბერს. 2003 წლის 7 მაისს კანონში განხორციელდა ცვლილებები და დამატებები "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

"პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" კანონის მიზანია უზრუნველყოს აღნიშნული პრეპარატების ეფექტური გამოყენება და განსაზღვროს გარემოსათვის უსაფრთხო მოხმარების სამართლებრივი საფუძვლები.

კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სფეროში საქმიანობის განხორციელების დროს:

- წარმოება;
- მარკირება;
- შეფუთვა;
- შენახვა;
- ტრანსპორტირება;
- გამოყენება;
- გაუვნებელყოფა;
- განთავსება;
- ინფორმაციის გაცვლა;
- რეკლამა;
- ექსპორტ–იმპორტი.

პესტიციდების ეფექტურ გამოყენებას და უსაფრთხო მოხმარებას უზრუნველყოფენ შემდეგი დოკუმენტები:

- "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" კანონი;
- "სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" კანონი;
- "FAO"[1];
- "პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი";
- "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" კანონი.

უნდა აღინიშნოს, რომ „FAO" და „პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი" ქართულ ენაზე არ არსებობს, შესაბამისად არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. თუმცა, ვინაიდან საქართველო გაეროს წევრია აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისად უნდა მოქმედებდეს.

"პესტიციდებისა და აგროქიმიკატების" კანონის თანახმად, ის პესტიციდები, რომლებიც შეტანილია საქართველოს სახელმწიფო კატალოგში[2], არ არის ამოღებული ხმარებიდან შეიძლება გასხვისდეს და მიმოქცეულ იქნეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის.

---

[1] გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

[2] საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების ჩამონათვალი

- ✓ „აკრძალული” და „მკაცრად შეზღუდული” პესტიციდების მიმოქცევა ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რაზედაც პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – მცენარეთა დაცვის სამსახური.

“სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ” კანონი არ იცნობს „სპეციალურ”, „გენერალურ”, „წინასწარ” და ა.შ. ნებართვებს, აქედან გამომდინარე, გაურკვეველია რა იგულისხმება სპეციალური ნებართვის გაცემაში.

პესტიციდების სფეროში პრეპარატების ეფექტურ გამოყენებასა და უსაფრთხო მოხმარებას “FAO” საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უზრუნველყოფენ:

- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

პესტიციდების სფეროში მოქმედებს შემდეგი ადმინისტრაციული ბარიერები:

- ✓ სერტიფიკატი – პესტიციდები ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას (იხ. თავი სერტიფიკაცია გვ. 45), პრეპარატზე გაიცემა შესაბამისობის სერტიფიკატი;
- ✓ რეგისტრაციას (იხ. თავი რეგისტრაცია გვ. 49) – ექვემდებარება ყველა პესტიციდი, რომელზეც მიღებულია დადებითი დასკვნა გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- ✓ ლიცენზია – გაიცემა მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ პესტიციდების წარმოებასა ან ვაჭრობაზე;
- ✓ ნებართვა – გაიცემა მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ პესტიციდების იმპორტისთვის, ექსპორტსა ან ტრანზიტისთვის.

პესტიციდების დამზადება ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად. პესტიციდების სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს ამტკიცებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი ხარისხის, სისუფთავის შემოწმების შესახებ “FAO”-ს საერთაშორისო მოთხოვნების დაცვით პესტიციდები ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას.

სერტიფიკატის მიღებაზე მოსაკრებელი დადგენილია 121 ლარის ოდენობით[3].

აღსანიშნია, რომ მცენარეთა დაცვის სამსახურის ექსპერტების ინფორმაციით დეპარტამენტ საქსტანდარტს საბჭოთა პერიოდის შემდეგ შემორჩენილი აქვს პესტიციდების მხოლოდ 3 სტანდარტი. აბრეთვე აღსანიშნავია, რომ მათ არ გააჩნია შესაბამისი აპარატურით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორიები, მოქმედი ნივთიერების განსაზღვრის მეთოდები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ პესტიციდზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემა წარმოადგენს ფორმალურ პროცედურას და მეწარმეთაგან დამატებითი თანხების გამოძალვის საშუალებას.

“პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ” კანონით განსაზღვრულია:

- სარეგისტრაციო ორგანოების ამოცანები და უფლებამოსილებანი;

[3] აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ მცენარეთა დაცვის სამსახურმა.

- სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდები;
- სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზა;
- სახელმწიფო რეგისტრაცია.

(ამ საკითხთან დაკავშირებულ პროცედურებს განვიხილავთ თავში „საქართველოში პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაცია, სარეგისტრაციო გამოცდები და ექსპერტიზა”).

პესტიციდების სფეროში სასერტიფიკაციო და სარეგისტრაციო პროცესების გარდა მეწარმე ვალდებულია პრეპარატის შემუშავებისას დაიცვას საერთაშორისო მოთხოვნები.

“პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ” კანონით გათვალისწინებულია ახალი პრეპარატების შემუშავებისას ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების საშიშროების გამორიცხვას, აგრეთვე დამამზადებლის ვალდებულებები, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. უზრუნველყოს პესტიციდების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და “FAO”-ს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;
2. დაიცვას ტექნოლოგიური დისციპლინა და ტექნიკური უსაფრთხოების წესები;
3. უზრუნველყოს პესტიციდების საცალო ვაჭრობისათვის და მომხმარებლისათვის მოსახერხებელი დაფასოება;
4. დაიცვას პესტიციდების შეფუთვის, მარკირების და შენახვის საერთაშორისო მოთხოვნები;
5. სისტემატურად შეამოწმოს სარეალიზაციოდ გამიზნული პესტიციდების სისუფთავე და ხარისხი;
6. უზრუნველყოს ანალიტიკური სტანდარტების გამოშვება სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, კვების პროდუქტებში, სამკურნალო ნედლეულში და გარემოში პესტიციდების რაოდენობის კონტროლისათვის;
7. თუ შეუძლებელი ხდება აღნიშნული პესტიციდების უსაფრთხო გამოყენება, ტრანსპორტირება და შენახვა, მიუხედავად ყველა რეკომენდაციისა და წესის შესრულებისა, შეწყვიტოს პესტიციდების რეალიზაცია და საკუთარი სახსრებით მოახდინოს მათი უტილიზაცია;
8. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია წარმოებაში არსებული პესტიციდების რაოდენობის შესახებ;
9. აწარმოოს პესტიციდები რეალური საჭიროების მიხედვით.

> **პესტიციდების სახით საქმე გვაქვს სპეციალურ ნივთიერებებთან, რომლებმაც შესაბამისი წესების დაუცველობის შედეგად, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს გარემოზე. ამდენად, ამგვარი ნივთიერებების წარმოება და შენახვა ექვემდებარება სახელმწიფოსგან მკაცრ კონტროლს, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაა კანონში მოცემული დამამზადებლის მოვალეობანი; როგორც წესი, მცენარეთა დაცვის სამსახური ყოველწლიურად აწვდის მონაცემებს იმის შესახებ, თუ დაახლოებით რა რაოდენობით პესტიციდები ესაჭიროება ქვეყანას. ამ ციფრებზე ორიენტაციითა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისად მეწარმეები ახორციელებენ პრეპარატების წარმოებას.**

- აკრძალულია იმ პესტიციდისა და აგროქიმიკატების წარმოება, რომელთაც არ აქვთ გავლილი სახელმწიფო რეგისტრაცია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიან სახელმწიფო რეესტრში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- ქიმიური ნივთიერებები;

- მიკროორგანიზმების მიერ წარმოქმნილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების თვისებები;
- ეფექტიანობა;
- ადამიანისა და გარემოზე ზემოქმედება;
- დამამზადებლი;
- მიმწოდებლი;
- გამოყენებული ნივთიერებების კატეგორიები;
- რაოდენობა, გამოყენების მიზნები და სფერო;
- უსაფრთხოების წესები;
- საგანგებო სიტუაციებში გასატარებელი ღონისძიებები და სხვა.

აღნიშნული რეესტრი უნდა ჩაერთოს საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოებას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მათ რეგისტრაცია-აღწერას შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით, მათ შორის, საერთაშორისო ვაჭრობაში აკრძალული და მკაცრად შეზღუდული ქიმიკატების შესახებ, ახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს კანონით "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" განსაზღვრულია აგროქიმიკატებსა და პესტიციდებთან დაკავშირებული შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

- ეფექტური გამოყენება და უსაფრთხო მოხმარება;
- მარკირება;
- ტრანსპორტირებისა და შენახვის წესები;
- სარეალიზაციო პირობები;
- გაუვნებელყოფა და განთავსება;
- ექსპორტ-იმპორტი.

ლიცენზია და ნებართვა მცენარეთა დაცვის სფეროში

“პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ” კანონი მიღებულ იქნა 2003 წლის 7 მაისს. იგი ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ივნისს, ხოლო 2003 წლის 1 დეკემბრიდან ამ კანონით განსაზღვრული ლიცენზიისა და ნებართვის გარეშე განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა ითვლება უკანონოდ.

საქართველოს კანონი “პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ” ეხება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსა და ლიცენზია/ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს შემდეგ საკითხებში:

- პესტიციდების წარმოებისა და ვაჭრობის ლიცენზირება;
- პესტიციდების ექსპორტ-იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემა.

პესტიციდების სფეროში ლიცენზიასა და ნებართვას გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – მცენარეთა დაცვის სამსახური.

საქართველოს კანონი “პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებურებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ” არ ვრცელდება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის განკუთვნილი პესტიციდების იმპორტზე, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე

- სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებს;
- სადემონსტრაციო ჩვენებებს.

აგრეთვე არარეგისტრირებული პესტიციდების იმპორტზე, რომლებიც განკუთვნილია

- მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად (თუ არსებობს ამგვარი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროება).

სალიცენზიო სახეობები და პირობები

პესტიციდების სფეროში კანონით განსაზღვრულია შემდეგი სალიცენზიო საქმიანობის სახეები:

- ქიმიური პესტიციდების წარმოება 460 ლარი
- ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება 280 ლარი
- პესტიციდებით ვაჭრობა 415 ლარი

ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი მიმართავს მცენარეთა დაცვის სამსახურს წერილობითი განცხადებით, სადაც აღინიშნება:

- ლიცენზიის გამცემი ორგანო, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური);

- განმცხადებლის ვინაობა, მისამართი, სამეწარმეო რეესტრის მონაცემები (სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი, ხელმძღვანელი პირი, მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი);
- რომელი ლიცენზიის მიღებას მოითხოვს მაძიებელი.

განცხადებას თან უნდა დაერთოს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, აგრეთვე წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში სათანადო რწმუნებულება; გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი პირობებისა

1. ქიმიური ან/და ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

- მეწარმის მიერ დადგენილი ტექნოლოგიური რეგლამენტი;
- ქიმიური საწარმოს ტიპური ან ინდივიდუალური პროექტი;
- სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გაცემული დოკუმენტი ქიმიური საწარმოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;
- ცნობა ბიოლოგიური (პესტიციდების) საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესახებ;
- ცნობა საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესებზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის თაობაზე;
- ცნობა გაზომვათა საშუალებების მდგომარეობის, პროდუქციის ხარისხის შიდასაწარმოო კონტროლის საშუალებების შესახებ;

  შიდასაწარმოო კონტროლი უნდა განხორციელდეს ყოველ საწარმოში. ამისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნება წარმოებული პესტიციდის შედარება ანალიტიკურ სტანდარტთან.

- პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაციის ასლი (რეგისტრაციის ვადაა 5 წ.).

  რეგისტრაცია გულისხმობს ექსპერტიზის პროცედურას, თუ საწარმო ჯერ არ მოქმედებს აღნიშნული პუნქტის შესასრულებლად მეწარმე იძულებულია წავიდეს კანონდარღვევაზე, ანუ უწევს პროდუქციის წარმოება არალიცენზირებულ საწარმოში. ამგვარი პირობების დაწესება აბსურდულია და მოითხოვს სასწრაფო გადასინჯვას.

2. პესტიციდებით ვაჭრობის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

ა) ცნობა სავაჭრო ფართობის საკუთრებაში ან სარგებლობაში ფლობის შესახებ (საკუთრების შემთხვევაში ცნობა საჯარო რეესტრიდან, იჯარის, ქირავნობის ან თხოვებისას შესაბამისი ხელშეკრულება);

ბ) სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გაცემული დოკუმენტი ობიექტის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;

გ) ცნობა ობიექტში რეალიზაციით დაკავებული პერსონალის კვალიფიკაციის, გამოცდილების შესახებ.

ლიცენზიის მიღების პროცესი ან ლიცენზიის მიღების შემდგომ განცხადებაში მითითებული მაძიებლის რეესტრული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიის გამცემს აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ლიცენზიის გაცემის წესი

ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რომლის დაწყების საფუძველია ლიცენზიის მაძიებლის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურში განცხადებისა და მასზე თანდართული საბუთების შეტანა, რომელიც უფლებამოსილია გასცეს მოთხოვნილი სახის ლიცენზია. ლიცენზიის მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (მაგ., ამხანაგობა).

ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღების დღესვე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი; განმცხადებლის მოთხოვნისას კი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების მიღებასა და რეგისტრაციაში გატარებას ახდენს, როგორც წესი, ლიცენზიის გამცემი ორგანოს კანცელარია.

თავდაპირველად, ლიცენზიის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი განცხადება და მასზე თანდართული მასალა დადგენილ მოთხოვნებს. მოთხოვნები ლიცენზირების სფეროში დადგენილია მხოლოდ კანონით. ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს იმის შემოწმებას, რომ განცხადება შეესაბამება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლისა და „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნებს; ასევე, უნდა შემოწმდეს განცხადებას ერთვის თუ არა სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისობის შემოწმებისას არ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და იგი მოიცავს ძირითადად განცხადების შინაარსის გაცნობასა და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალის შემოწმებას. შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება შემდეგი გარემოებები:

1. განცხადება ან მასზე დართული მასალები ხომ არ არის წარმოდგენილი უცხო ენაზე. საქმისწარმოება ლიცენზიის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე და ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ყველა დოკუმენტი წარადგინოს ქართულ ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი ან შემდგომ მოთხოვნილი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის წარმოდგენილი, ვადა მაძიებლის მიერ დაცულად ითვლება და ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მაძიებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის წარმოდგენამდე საქმისწარმოების ვადა შეჩერებულად ითვლება;
2. თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ლიცენზიის გაცემა მიეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე თანდართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შესახებაც 2

დღის ვადაში შესაბამისი დასაბუთებით ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს განმცხადებელს;

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება საქმის სირთულე ანუ შესაძლებელი იქნება თუ არა ერთთვიან ვადაში გადაწყვეტილების მიღება და საჭირო ხომ არ არის ვადის გაგრძელება 3 თვემდე. უნდა აღინიშნოს, რომ 3 თვემდე გაგრძელება არის მაქსიმუმი (რომელშიც მიეთვლება ერთთვიანი ვადაც) და ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს საქმის სირთულით, სავარაუდოდ რა ვადაში შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას და იგი შეიძლება იყოს თვენახევარი, ორი თვე ან 10 დღით გაგრძელება და ა.შ. ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტის (მაგ., ბრძანების) ფორმით, რომლის გამოცემისათვის ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ იმართება. ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი ვადის გაგრძელება და იგი მიიღება არაუგვიანეს 7 დღისა განცხადების რეგისტრაციიდან. ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღეს უნდა ეცნობოს მაძიებელს, რომ ვადა გაგრძელებულია და გადაეცეს მას ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ასლი;

4. თუ დადგენილი დოკუმენტები არ იქნა სრულად წარდგენილი, მაშინ ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და განუსაზღვროს მათი წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. დოკუმენტების წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს გონივრული, ე.ი. ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მიახლოებით უნდა გათვალოს, თუ რა ვადაში შეძლებს მაძიებელი დოკუმენტების წარმოდგენას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალური ვითარება და თუ შესაძლებელია, მოსმენილ იქნეს მაძიებლის პოზიციაც იმის შესახებ, თუ რა ვადაში შეუძლია მას აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მაძიებელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის განსაზღვრული ვადა გასულად არ ითვლება და მისი ათვლა დაიწყება მოთხოვნის დაკონკრეტებისას. თუ ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტები, ლიცენზიის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარმოდგენის ვადა. დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ლიცენზიის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას. დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ მიეთვლება საქმის წარმოების საერთო ვადაში, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან. განცხადების განუხილველად დატოვებისას განმცხადებელს უფლება აქვს კვლავ მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ლიცენზიის მისაღებად; ასეთ შემთხვევაში საქმისწარმოება და შესაბამისად ვადების ათვლა იწყება თავიდან. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის ათვლა იწყება განცხადების წარდგენიდან;

5. ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება ამ საკითხების გარკვევის გარეშე, ლიცენზიის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას. ექსპერტიზის დანიშვნის აქტში კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს ის კითხვები, რაზედაც სურს

პასუხის მიღება ლიცენზიის გამცემ უწყებას. ექსპერტიზა ძირითადად ინიშნება მეცნიერების, ტექნიკის ანდა მედიცინის სფეროში ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად. დაუშვებელია ექსპერტიზა დაინიშნოს სამართლებრივ საკითხებზე.

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობის დადგენიდან მომდევნო 3 დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ექსპერტიზის დანიშვნის აქტი, განცხადება და თანდართული მასალის ასლები უნდა გადაეგზავნოს ექსპერტს დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტი დასკვნას წარმოადგენს მასალების მიღებიდან ორი კვირის ვადაში. ექსპერტიზის მიმდინარეობისას ვადის დინება შეჩერებულია;
2. უნდა გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა მიეთითოს:

- ლიცენზიის გამცემი ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი;
- ლიცენზიის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების მოკლე შინაარსი;
- ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
- ნებისმიერი პირის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგების ვადა;
- ნებისმიერი პირის უფლება, რომ მას მოსაზრების წარდგენისას შეუძლია არ დაასახელოს თავისი ვინაობა;
- ცნობის გამოქვეყნების თარიღი.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობა უნდა გამოქვეყნდეს ლიცენზიის გამცემი ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ლიცენზიის გამცემ ორგანოს არა აქვს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, მაშინ ცნობა ქვეყნდება იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ლიცენზიის გამცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. უსახსრობის ან სხვა მოტივით ცნობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შეუძლებლობისას, ლიცენზიის ორგანო ვალდებულია სულ მცირე ცნობა განათავსოს სამსახურის ოფიციალურ დაფაზე (ე.წ. სტენდზე), სადაც ნებისმიერ პირს ექნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას ანუ ცნობა ისეთ ადგილას უნდა განთავსდეს, რომ მისი გაცნობა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და მის გასაცნობად დაინტერესებულ პირს შენობაში შესასვლელად საშვის მიღება არ უნდა დასჭირდეს.

კვლევის ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ მცენარეთა დაცვის სამსახური იცავს აღნიშნულ მუხლს.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს ლიცენზიის გამცემ ორგანოში გაეცნოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებებს, ასევე საქმეში არსებულ სხვა მასალას, გააკეთოს ამონაწერები, საკუთარი ხარჯით გადაიღოს ასლები, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობით, დაესწროს საქმის ზეპირ მოსმენას. მოსაზრების წარდგენა შეუძლია არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ სხვა ნებისმიერ პირსაც, რომელიც უფლებამოსილია არ დაასახელოს თავისი ვინაობა, ე.ი. დარჩეს ანონიმურად. აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნებისმიერი პირისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის ცნებები. ნებისმიერი დაინტერესებული პირი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე ან კანონიერ ინტერესებზე ლიცენზიის გაცემა პირდაპირ და უშუალო გავლენას

ახდენს; დაინტერესებულ პირად ითვლება ასევე ლიცენზიის მაძიებელი. ნებისმიერი პირი კი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე და ინტერესებზე ლიცენზიის გაცემა უშუალო გავლენას არ ახდენს, მაგრამ სურს გამოხატოს თავისი პოზიცია ლიცენზიის კონკრეტულ სუბიექტზე გაცემასთან დაკავშირებით. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნებისმიერი პირი მოსაზრებას წარმოადგენს საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში და უფლება აქვს მხოლოდ დაესწროს ზეპირი მოსმენის სხდომას, ხოლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ენიჭება უფლება ახსნა-განმარტებით გამოვიდეს ზეპირი მოსმენის სხდომაზე.

განმცხადებელს უფლება აქვს ადმინისტრაციულ წარმოებას დაესწროს პირადად ან იყოს წარმოდგენილი წარმომადგენლით. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. წარმომადგენლობის დროს სავალდებულოა ლიცენზიის გამცემი ორგანოსათვის წარდგენილი იყოს კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული რწმუნებულება (მინდობილობა). ფიზიკური პირის – საქართველოს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის – მიერ გაცემული რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. რწმუნებულებას იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით გასცემს დირექტორი ან ის პირი, რომელსაც წესდებით ენიჭება ასეთი უფლებამოსილება. იურიდიული პირის მიერ გაცემული რწმუნებულების სანოტარო დამოწმება არ ესაჭიროება და საკმარისია მისი მოთავსება იურიდიული პირის სატიტულო ფურცელზე. რწმუნებულების გარდა, წარმომადგენელმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დავალების ხელშეკრულებითაც. დავალების ხელშეკრულებას სანოტარო წესით დამოწმება არ ესაჭიროება, მაშინაც კი, როცა მისი ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირია.

განმცხადებელს ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემამდე წერილობითი სახით შეუძლია აცილება განუცხადოს ლიცენზიის გამცემი ორგანოს თანამდებობის პირს, რომელსაც კანონის შესაბამისად არა აქვს უფლება მონაწილეობას იღებდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის ზეპირი მოსმენის სხდომაზე აცილების თაობაზე შუამდგომლობა შეიძლება დაყენებულ იქნეს ზეპირადაც. აცილების საფუძველია, თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მოცემულ შემთხვევაში ნათესავებად ითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და–ძმა, მათი მეუღლეები და შვილები);
გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
დ) იყო ექსპერტი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

განცხადებისა და მასთან ერთად წარდგენილი სხვა მასალების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ლიცენზიის გამცემი

ორგანო ადგილზე ამოწმებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემთა სისწორეს. ადგილზე შემოწმებისას ლიცენზიის გამცემი ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ლიცენზიის გამცემი ორგანოს წარმომადგენელი და ლიცენზიის მაძიებელი.

სალიცენზიო პირობების ადგილზე შემოწმებისას ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს ოქმს დაურთოს ახსნა-განმარტება, გაეცნოს ოქმის შინაარსს, თუ ეთანხმება ხელი მოაწეროს ოქმზე, გამოთქვას შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით. თუ ლიცენზიის მაძიებელი ხელს არ აწერს ოქმს, მაშინ ოქმში უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, თუ რატომ არ აწერს იგი ხელს.

ნებისმიერი პირის მიერ მოსაზრების წარმოდგენის ვადის გასვლიდან (ანუ საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ) 5 დღის ვადაში იმართება საქმის ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ მაძიებელს უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. მოსაწვევ უწყებაში უნდა მიეთითოს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც.

- ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განუმარტოს განმცხადებელს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი და ვადა, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომის შესახებ.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეს. ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს ყველა წარდგენილი დოკუმენტი, მოუსმინოს განმცხადებელსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირს, განიხილოს მაძიებლის ანდა მისი წარმომადგენლის მიერ დაყენებული შუამდგომლობები (აცილების, მტკიცებულებათა წარდგენის და ა.შ). თუ ექსპერტიზა ჰქონდა დანიშნული, უფლება აქვს სხდომაზე გამოიძახოს ექსპერტი და კითხვები დაუსვას მის მიერ წარმოდგენილ დასკვნასთან დაკავშირებით. ექსპერტისათვის კითხვის დასმის უფლება აქვს მაძიებელსა და საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირსაც. სხდომაზე შეიძლება გამოძახებულ იქნენ მოწმეები ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

ზეპირი მოსმენის სხდომა საჯაროა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს მას, თუმცა სხდომაზე გამოსვლის უფლებით სარგებლობენ მაძიებელი და დაინტერესებული პირი. სხდომაზე დგება ოქმი, სადაც აღინიშნება საქმის მიმდინარეობა, განხილვის დრო და ადგილი, სხდომაზე მონაწილე მხარეები, ექსპერტებისა და მოწმეების ვინაობა, განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საქმეზე ყველა გარემოების დადგენის, მტკიცებულებების გამოკვლევის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სახით განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 1 თვის ვადაში, ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიცეს ბრძანების სახით. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა წერილობით და

ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან. გამოქვეყნების მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებისათვის არის დადგენილი. ლიცენზიის თაობაზე მიღებული აქტის გამოქვეყნება სავალდებულოა. კონკრეტულად თუ რა სახით იქნება ადმინისტრაციული აქტი გამოცემული, ეს დამოკიდებულია ლიცენზიის გამცემი ორგანოს დებულებაზე. ლიცენზია (სალიცენზიო მოწმობა) გაიცემა ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში.

ინფორმაცია ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია მოიცავს მოკლე წერილობით პუბლიკაციას, სადაც იქნება აღნიშნული ლიცენზიის მფლობელის ან იმ პირის სახელწოდება, რომელსაც უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით, ასეთი სუბიექტის არსებობის შემთხვევაში, მაგ., ინდ. მეწარმე, შპს, სს, სპს,), გამცემი ორგანოს დასახელება, ბრძანების ნომერი და თარიღი, რომლითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გაცემის შემთხვევაში ლიცენზირებული საქმიანობის სახეობა და ლიცენზიის მოქმედების ვადა.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის, ასევე ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან/და გაუქმების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ადმინისტრაციული აქტის სახეს (მაგ., ბრძანება №);
- გამომცემ ორგანოს დასახელებას;
- ადმინისტრაციული აქტის სათაურს (მაგ., ბრძანება № ლიცენზიის გაცემის შესახებ ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ);
- უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- გამოცემის დროსა და ადგილს;
- ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მაგ., „ბრძანება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან 6 თვის ვადაში სასამართლოში”).

ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმად, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია.

ადმინისტრაციული წარმოებისას დარღვეული ანუ გაშვებული ვადის აღდგენა შესაძლებელია, თუ ვადის გაშვება მოხდა საპატიო გარემოებების არსებობისას, როგორიცაა დაუძლეველი ძალა (მიწისძვრა, წყალდიდობა ან ა.შ.), ლიცენზიის მაძიებლის ავადმყოფობა ანდა სხვა საპატიო მიზეზი და ლიცენზიის გამცემი ორგანოს ბრალი. გაშვებული ვადის აღდგენისათვის ლიცენზიის მაძიებელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპატიო გარემოებების აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღეში და უნდა დაადასტუროს საპატიო გარემოებების არსებობა განცხადებაზე ავადმყოფობის ცნობის დართვით და სხვა. ლიცენზიის გამცემი ორგანო გაშვებული ვადის აღდგენის განცხადებას განიხილავს 5 დღის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული აქტის ფორმით) ვადის აღდგენის ან ვადის აღდგენის დაუშვებლობის შესახებ.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება
ლიცენზიის გაცემის თაობაზე

ს ქ ე მ ა

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენა ლიცენზიის გამცემ ორგანოში	

↓

განცხადების რეგისტრაცია	მიღებისთანავე

↓

ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან	განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღეში

↓

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ვადის არაუმეტეს 3 თვემდე გაგრძელების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება	განცხადების რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში. ამის შესახებ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ეცნობება განმცხადებელს

↓

დოკუმენტების ან ინფორმაციის არასრულად წარდგენისას ლიცენზიის მაძიებლისათვის მათ წარსადგენად ვადის (არანაკლებ 5 დღის) განსაზღვრა	

↓

ლიცენზიის მაძიებლის თხოვნით მხოლოდ ერთხელ დამატებით, არა უმეტეს 15 დღით მოთხოვნილი დოკუმენტების ან ინფორმაციის წარდგენის ვადის გაგრძელება	"
საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა და სათანადო მასალების ექსპერტისათვის გადაგზავნა	დადგენილ მოთხოვნებთან დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის ვადაში
ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა	მასალების მიღებიდან 2 კვირის ვადაში
ლიცენზიის თაობაზე წარდგენილი მასალების საჯარო გაცნობისათვის ცნობის გამოქვეყნება	შესაბამისობის დადგენიდან 3 დღეში
ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობა და საკუთარი მოსაზრების წარდგენა ნებისმიერი პირის მიერ	საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში
ზეპირი მოსმენის დანიშვნა	ლიცენზიის მაძიებელს ეცნობება საქმის ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ უნდა იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად



ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

- ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს;

- ლიცენზიის მაძიებელი ითხოვს ლიცენზიას, რომელიც გაუქმებულია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
- ლიცენზიის მაძიებელს შეუჩერდა ამ სფეროში მიღებული ლიცენზიის მოქმედება და არ აღმოფხვრილა ლიცენზიის შეჩერების საფუძველი.

✓ **აკრძალულია ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ლიცენზიების რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.**

✓ **ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს, უნდა გაიცეს ლიცენზია. მცენარეთა დაცვის სფეროში სამომხმარებლო ბაზარი არ არის შეზღუდული და დაუშვებელია, რომ ლიცენზიის გამცემმა ორგანომ ჩათვალოს, რომ გარკვეული რაოდენობის ლიცენზიის მეტი არ არის საჭირო და უარი უთხრას განმცხადებელს.**

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის მიღების თაობაზე.

ლიცენზიის გამცემი განცხადების მიღებიდან 2 დღეში გასცემს სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს. შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება უწყებრივ და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში.

✓ **სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.**

სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებელი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით და შეადგენს 10 ლარს.

✓ **დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებით ლიცენზიის გამცემი ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმართავს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას.**

> ლიცენზიის დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოებისათვის ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია თუ რა არის ლიცენზიის დუბლიკატი: ეს არის ლიცენზიის ძველოასლი, ლიცენზიის ახალი მოწმობა თუ სხვა რამ. გაურკვევლობას თუ ერთგვარ დაბნეულობას იწვევს ის ფაქტი, რომ სალიცენზიო მოწმობა (ლიცენზია) არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სპეციალურ რეკვიზიტებს (სპეციალურ ნომერს, გაცემის თარიღსა და ა.შ.), რომელიც განსაკუთრებული წესით ბარდება ლიცენზიის ორგანოს და პასუხისმგებელია მის თითოეულ ცალზე. ლიცენზიის დუბლიკატი არის ჩვეულებრივ ახალი სალიცენზიო მოწმობა, იმ განსხვავებით, რომ მასზე თვალსაჩინო ადგილას აღინიშნება წარწერა: „დუბლიკატი“. რაც შეეხება ნუმერაციას: ლიცენზია წარწერით „დუბლიკატი“ იქნება ადრე დაკარგული თუ დაზიანებული ლიცენზიის შემცველი ახალი დოკუმენტი თავისი ნომრით, რომლის ნუმერაცია ბუნებრივია არ ემთხვევა დაკარგული თუ დაზიანებული ლიცენზიის ნომერს.

ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და განახლება

ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს.

თუ ლიცენზიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ. გადაწყვეტილება ლიცენზიის მფლობელს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, რომელთა შესრულებაც (გამოსწორებაც) გამოიწვევს ლიცენზიის მოქმედების განახლებას.

ლიცენზიის მოქმედება შეჩერდება გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე, მაგრამ არა უგვიანეს 3 თვისა.

ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან სასამართლოში.

ლიცენზიის მოქმედება განახლდება ლიცენზიის განახლების შესახებ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ლიცენზიის მოქმედების განახლების ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, წარდგენილ მასალებზე დაყრდნობით, განაახლოს ლიცენზიის მოქმედება.

- ✓ **თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან ლიცენზიის გაუქმება ზიანს აყენებს, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესებს, ლიცენზიის მფლობელს, კანონის საფუძველზე, უფლება აქვს გარკვეული ვადით გააგრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა ლიცენზიის გამცემის ზედამხედველობით.**

- ✓ **ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს არსებული გადაწყვეტილების შეჩერებას, თუ ლიცენზიის გამცემი ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.**

ლიცენზიის გაუქმება

ლიცენზიის გაცემაზე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, თუ:

- იგი გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა;

  - ✓ **მცენარეთა დაცვის სფეროში ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით, ხოლო ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი პირი კი, ლიცენზიის გამცემი ორგანოს დებულებით.**

- იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად ირღვევა ლიცენზიის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

ლიცენზია გაუქმდება, თუ იგი გაიცა ისეთ საქმიანობაზე, რომელიც კანონით არის აკრძალული. ლიცენზიის გაუქმების დამოუკიდებელი საფუძველია მისი გაცემის წესის არსებითი დარღვევა. კანონით პირდაპირ განისაზღვრა, რომ ლიცენზია უნდა გაიცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში (ლიცენზიის გაცემის წესი) „არსებითი მოთხოვნების დარღვევად“ ითვლება თუ არ გამოქვეყნდა ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ, მაძიებელი და სხვა დაინტერესებული პირები არ იქნენ მოწვეული საქმის ზეპირ მოსმენაზე, მაძიებელს არ ეცნობა საქმის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ აქტი გამოიცა შესაბამისობის დადგენიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, დაირღვა მოსაზრებების წარდგენის 20 დღიანი ვადა, ადმინისყრაციული აქტი ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ გამოქვეყნდა.

- ლიცენზიის გაუქმება პირდაპირ მითითებულია კანონში;
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ლიცენზიის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ლიცენზიის მოქმედებამ (საქმიანობამ) შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;
- არსებობს ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;
- სახეზეა ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუუნაროდ ცნობა) ანდა ლიკვიდაცია;

  - ✓ ლიცენზიის მფლობელის გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების, ქმედუუნაროობის აღიარების ან ლიკვიდაციის საფუძვლით ლიცენზია გაუქმდება მაშინ, თუ წარმოდგენილი იქნება თითოეული ამ საფუძვლის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება; თითოეული ზემოაღნიშნული ფაქტი (ლიცენზიის მაძიებლის გარდაცვლილად გამოცხადება, ქმედუუნაროდ აღიარება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში კი – ლიკვიდაცია) დადგენილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ.

- ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადა გასულია და არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი;

  - ✓ სალიცენზიო პირობების დარღვევისას ლიცენზიის გამცემი ორგანო აჩერებს ლიცენზიის მოქმედებას არაუმეტეს 3 თვის ვადით. ამ ვადაში დარღვეული სალიცენზიო პირობების გამოუსწორებლობა იქნება ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება.

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი წესით.

თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლისას არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი და თუ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება

არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ლიცენზიის გამცემი ვალდებულია 3 დღეში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ შეატყობინებს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

- ✓ **სალიცენზიო მოწმობა გამცემს უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების კალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში.**

> **„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მოთხოვნით გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება №472 „ავტონომიურ რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისათვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების გადაცემის წესის შესახებ“. საქმიანობის ნუსხაში არ არის შეტანილი მცენარეთა დაცვის სფერო, აქედან გამომდინარე ამ დარგის მართვა ავტონომიურ რესპუბლიკაში არის ცენტრალიზებული და ლიცენზიის გაცემის უფლებამისილება არ არის გადაცემული ავტონომიური რესპუბლიკისათვის.**

სანებართვო სახეები და პირობები

კანონით გათვალისწინებულია ნებართვის გაცემა შემდეგ საქმიანობაზე:

- გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების იმპორტი 165 ლარი
- მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტი 560 ლარი
- მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტი 520 ლარი
- კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი 25 ლარი

სანებართვო მოწმობის ფორმას ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

გამოსაყენებლად დაშვებულ პესტიციდებზე ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ან ერთი კალენდარული წლით.

> **აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონს, რადგან ნებართვა ერთი და იგივე ოპერაციაზე არ შეიძლება იყოს როგორც ერთჯერადი და ასევე ვადიანი. ასეთი სიტუაცია სფეროში მოქმედ მეწარმეებს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში.**

მკაცრად შეზღუდულ პესტიციდებზე ნებართვა გაიცემა მხოლოდ ერთჯერადად, ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეულ პროდუქციაზე – ერთჯერადად ან 6 თვით.

> **როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი ჩანაწერების არსებობა კანონში მიუღებელია და ჩვენი აზრით, უმჯობესია არსებობდეს მხოლოდ ერთჯერადი ნებართვა, რადგან ის წარმოადგენს უფლებას კონკრეტული ოპერაციის განხორციელებაზე (იმპორტი, ექსპორტი ან ტრანზიტი).**

ნებართვის მაძიებლის განცხადების საფუძველზე მას შეიძლება მიეცეს უფლება პესტიციდის, კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სათანადო რაოდენობის პარტიების ეტაპობრივად შემოტანაზე.

ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად მიმართავს მცენარეთა დაცვის სამსახურს, სადაც აღინიშნება:

- ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (მცენარეთა დაცვის სამსახური);
- განმცხადებლის ვინაობა და მისამართი (სამეწარმეო რეესტრის მონაცემები);
- თუ რომელი ნებართვის მიღებას მოითხოვს მაძიებელი;
- განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა;

✓ განცხადებაში აგრეთვე უნდა მიეთითოს, თუ პესტიციდების რა სახის იმპორტის ან ექსპორტის განხორციელებას მოითხოვს, ასევე პესტიციდების
  - სავაჭრო დასახელებას;
  - პრეპარატულ ფორმას;
  - მოქმედი ნივთიერების დასახელებასა და კონცენტრაციას;
  - პესტიციდების რაოდენობას;
  - იმპორტისას – შესანახი საწყობის მისამართს.

ეტაპობრივად შემოტანისას განცხადებაში უნდა მიეთითოს ყოველი პარტიის პირობითი რაოდენობა, მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტის შემთხვევაში, აგრეთვე მონაცემები

- გამოყენების ხერხის,
- მიზნის,
- სახის,
- დროის,
- ადგილის,
- რაოდენობის,
- მოსავლის აღებამდე ლოდინის პერიოდის შესახებ.

✓ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვის მაძიებლის განცხადება აგრეთვე უნდა შეიცავდეს:

- ექსპორტიორი ქვეყნის დასახელებას,
- შემოსატანი ტვირთის დასახელებას,
- რაოდენობას,
- მოძრაობის მარშრუტს,
- მიღების ადგილს.

ეტაპობრივად შემოტანის შემთხვევაში:

- თითოეული პარტიის რაოდენობას,
- შემოტანის ვადას,
- თანდართული საბუთების ნუსხას.

კერძოდ განცხადებას თან უნდა დაერთოს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, აგრეთვე:

- ➢ პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- ➢ ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ➢ პესტიციდების წარმოშობის სერტიფიკატი (აღნიშნულ პუნქტში იგულისხმება, თუ რომელი ქვეყნის საწარმოში იქნა წარმოებული პესტიციდი);
- ➢ ხოლო მკაცრად შეზღუდულ პესტიციდებზე: ხარისხის სერტიფიკატი და ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი.

✓ **ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დაწესება აკრძალულია.**

- ნებართვის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა.

- ნებართვის მისაღებად სხვა პირობების დადგენა აკრძალულია.

ნებართვის მიღების პროცესი ან ნებართვის მიღების შემდგომ განცხადებაში მითითებული მაძიებლის რეესტრული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია, ნებართვის გამცემს აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღეში.

ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი ორგანო იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. თუ ნებართვის გაცემა ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია ნებართვა გასცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (ლიცენზიის გაცემის წესის ანალოგიურად).

საქმის წარმოება იწყება ჩვეულებრივ წერილობითი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენით ნებართვის გამცემ ორგანოში. განცხადება ნებართვის გამცემი ორგანოს კანცელარიის მიერ რეგისტრაციაში ტარდება მიღებისთანავე და დაესმება მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

თავდაპირველად ნებართვის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი განცხადება და მასზე თანდართული მასალა დადგენილ მოთხოვნებს ანუ სანებართვო პირობებს, რომლებიც დადგენილია მხოლოდ კანონით. ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს იმის შემოწმებას, რომ განცხადება შეესაბამება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებს; ასევე, უნდა შემოწმდეს განცხადებაზე თანდართული მასალები შეესაბამება თუ არა „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნებს და ერთვის თუ არა მას სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. შესაბამისობის შემოწმებისას დგინდება შემდეგი გარემოებები:

1. განცხადება ან მასზე დართული მასალები ხომ არ არის წარმოდგენილი უცხო ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი ან შემდგომ მოთხოვნილი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის წარმოდგენილი ნებართვის გამცემმა ორგანომ მაძიებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები;

2. თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ნებართვის გაცემა მიეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე თანდართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შესახებაც 2 დღის ვადაში შესაბამისი დასაბუთებით აცნობებს განმცხადებელს;

3. საქმისწარმოების ვადის გაგრძელების აუცილებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ვადის 3 თვემდე გაგრძელება არის მაქსიმუმი (რომელშიც მიეთვლება 15 დღიანი ვადაც) და ვადის გაგრძელებისას ნებართვის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს საქმის სირთულით, სავარაუდოდ რა ვადაში შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას და იგი შეიძლება იყოს თვენახევარი, ორი თვე ან 15 დღით გაგრძელება და ა.შ. ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტის (მაგ., ბრძანების) ფორმით, რომლის გამოცემისათვის ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ იმართება.

ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი ვადის გაგრძელება და იგი მიიღება არაუგვიანეს 3 დღისა განცხადების რეგისტრაციიდან. ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღეს უნდა ეცნობოს მაძიებელს, რომ ვადა გაგრძელებულია და გადაეცეს მას ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ასლი;

4. თუ დადგენილი დოკუმენტები არ იქნა წარდგენილი, მაშინ ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და განუსაზღვროს მათი წარდგენისათვის 3 დღიანი ვადა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მაძიებელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის განსაზღვრული ვადა გასულად არ ითვლება და მისი ათვლა დაიწყება მოთხოვნის დაკონკრეტებისას. თუ ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტები, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარმოდგენის ვადა. დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას. დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ მიეთვლება საქმისწარმოების საერთო ვადაში, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან, დოკუმენტების წარმოუდგენლობისას კი, განცხადება რჩება განუხილველი. თუ მეწარმე დამატებით განსაზღვრულ ვადაში ვერ ახერხებს მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენას და განცხადების განუხილველად დატოვებით არ დაკარგოს მოსაკრებელი, სასურველია წარმოადგინოს წერილობითი განცხადება ნებართვის მისაღებად შეტანილი დოკუმენტაციის უკან გატანის შესახებ. ამის შემდეგ, მეწარმეს უფლება აქვს აღმოფხვრას ხარვეზი და იგივე დოკუმენტაცია კვლავ შეიტანოს ნებართვის გამცემ ორგანოში;

5. ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება ამ საკითხების გარკვევის გარეშე, ნებართვის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას.

ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის განმავლობაში განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაუგზავნოს ექსპერტს. ექსპერტი დასკვნას წარადგენს 7 დღის ვადაში, თუმცა მისი წარუდგენლობა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა 7 დღეში დასკვნის წარდგენა შეუძლებელია და საქმის გარემოებების გათვალისწინებით დასკვნის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, ხოლო დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დასკვნის წარდგენის ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 7 დღით. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება. ექსპერტიზის მიმდინარეობისას ვადის დინება შეჩერებულია.

ნებართვის მიღებისას ადმინისტრაციულ წარმოებაში პირი მონაწილეობს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომლის მიმართაც იგივე წესები

გამოიყენება, რაც ლიცენზიის მიღების შესახებ ადმინისტრაციული წარმოებისას იყო აღნიშნული. ანალოგიურად გამოიყენება ამ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე თანამდებობის პირთა აცილების წესი.

ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებაში მიწვეული უნდა იქნეს განმცხადებელი; მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი მოსაზრება (მათ შორის, წერილობით) გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს მათი ასლები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები. ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განმცხადებელს განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები, გააცნოს საქმის განხილვის წესი და ვადები.

ნებართვის გამცემი ორგანო იკვლევს წარმოდგენილ მტკიცებულებებს, უსმენს მხარეებს, განიხილავს დაყენებულ შუამდგომლობებს, გამოძახებული მოწმეებისა და ექსპერტისაგან იღებს ახსნა-განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნებართვის თაობაზე ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან (რეგისტრაციიდან) 15 დღის ვადაში.

საქმის განხილვისას თუ გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნებართვის გაცემაზე უარის თქმა, ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარმყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

1. უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ (მაგ., საქმისწარმოებისას გამოვლინდა, რომ განცხადება წარმოდგენილია არარსებული სუბიექტის მიერ ან არასწორია რეესტრული მონაცემები);
2. ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისაგან.

ამ გარემოებათა შესახებ საკუთარი მოსაზრებისას განმცხადებელი ნებართვის გამცემს 3 დღის ვადაში წარუდგენს. მისი წარდგენა არ არის საჭირო, როცა მოცემულ საკითხზე განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს.

თუ განმცხადებელს უარი ეთქვა ნებართვის მიღებაზე, მას ხელმეორედ იმავე მოთხოვნით განცხადების შეტანა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ აღმოიფხვრება ის გარემოემა, რაც გახდა ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი ან შეიცვლება ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას ანდა თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებენ განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა სახეზეა, როდესაც ნებართვის გამცემი ორგანოსათვის ხელმეორედ მიმართვისას განმცხადებლის ფაქტობრივი მდგომარეობა შეცვლილია: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნოლოგიურ პროცესზე პასუხისმგებელი პერსონალი, დოკუმენტაცის სრულყოფილება და ა.შ. რაც ადრე რომ ჰქონოდა მაძიებელს, მასზე გაიცემოდა ნებართვა; სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა უკავშირდება საკანონმდებლო ცვლილებებს – იმ პირობას, რომელსაც

განმცხადებელი ადრე ვერ აკმაყოფილებდა, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ აკმაყოფილებს ანდა ცვლილებების შედეგად ესა თუ ის პირობა საერთოდ ამოღებულ იქნა კანონიდან, რაც გაცილებით უფრო ადვილს ხდის ნებართვის მიღებას. რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებებს, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, რაიმე მტკიცებულების გამოვლენაზე, რომელიც ნებართვის გაცემის პროცესში რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, ნებართვა გაიცემოდა ანდა ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკრეტულ საქმეზე დადგინდა ნებართვის გამცემი ორგანოს წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება, რამაც შეუშალა ხელი ნებართვის კონკრეტულ სუბიექტზე გაცემას.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ადმინისტრაციული აქტის სახეს;
- გამომცემ ორგანოს დასახელებას;
- აქტის სათაურს;
- უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- გამოცემის დროსა და ადგილს;
- გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ორგანო, რომელშიც შეიძლება გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

ადმინისტრაციული აქტი ნებართვის თაობაზე გამოიცემა წერილობით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში კი, ზეპირადაც. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პირის კანონით დაცულ ინტერესს. ზეპირი სახით გამოცემული აქტი ზეპირი გამოცემიდან 3 დღის ვადაში გამოიცემა წერილობითი ფორმით. მიუხედავად ადმინისტრაციული აქტის ზეპირი ფორმისა, მის საფუძველზე გაცემული ნებართვა წერილობითი დოკუმენტია.

ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ძალაში შედის განმცხადებლისათვის გადაცემის მომენტიდან.

მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ნებართვის გაცემის თაობაზე

ს ქ ე მ ა

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენა ნებართვის გამცემ ორგანოში	
↓	
ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ განცხადების რეგისტრაცია	მიღებისთანავე
↓	
ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან	განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღეში
↓	
საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ვადის არაუმეტეს 3 თვემდე გაგრძელების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება	განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში. ამის შესახებ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ეცნობება განმცხადებელს
↓	
დოკუმენტების ან ინფორმაციის არასრულად წარდგენისას ნებართვის მაძიებლისათვის მათ წარსადგენად 3 დღიანი ვადის მიცემა	
↓	

ნებართვის მაძიებლის თხოვნით მხოლოდ ერთხელ დამატებით, არა უმეტეს 15 დღით მოთხოვნილი დოკუმენტების ან ინფორმაციის წარდგენის ვადის გაგრძელება	

↓

საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა და სათანადო მასალების ექსპერტისათვის გადაგზავნა	დადგენილ მოთხოვნებთან დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის ვადაში

↓

ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა	მასალების მიღებიდან 7 დღის ვადაში

↓

ექსპერტისათვის დასკვნის წარდგენის ვადის გაგრძელება	არაუმეტეს 7 დღით

↓

ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ნებართვის მაძიებლისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება, ადმინისტრაციულ წარმოებაში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა	

↓

წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, ნებართვის მაძიებლის პოზიციის მოსმენა, დაყენებული შუამდგომლობების განიხილვა, გამოძახებული მოწმეებისა და ექსპერტისაგან ახსნა-განმარტებების მიღება	

↓

გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული აქტის) მიღება ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის შესახებ	განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღეში

↓

სანებართვო მოწმობის გაცემა	ადმინისტრაციული აქტის მიღებიდან 3 დღეში

ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ნებართვა არ გაიცემა, თუ:

- წარდგენილი დოკუმენტაცია და/ან წარმოების ფაქტობრივი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს;
- მაძიებელი მოითხოვს ისეთ ნებართვას, რომელიც მას გაუუქმდა და გაუქმებიდან არ გასულა 6 თვე;
- მაძიებელს შეუჩერდა ნებართვის მოქმედება და არ აღმოფხვრილა მისი შეჩერების საფუძველი.

✓ **აკრძალულია ნებართვის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ნებართვის რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.**

✓ **გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან სასამართლოში.**

სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

✓ **ნებართვის დუბლიკატის მისაღებად საჭირო არის მხოლოდ წერილობითი განცხადება.**

განცხადების მიღებიდან 2 დღეში ნებართვის გამცემი გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს. დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებელი შეადგენს 10 ლარს[4].

✓ **სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.**

✓ **აკრძალულია იმ პესტიციდების იმპორტი და ექსპორტი, რომელთაც გაუვიდათ რეგისტრაციის ვადა.**

✓ **აკრძალულია ნებართვის სხვა პირთათვის გადაცემა5.**

[4] „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ კანონი
[5] ნებართვის გადაცემაში იგულისხმება სანებართვო მოწმობის გასხვისება

ნებართვის მოქმედების შეჩერება

ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ, თუ ნებართვის მფლობელი არღვევს სანებართვო პირობებს.

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი იღებს ამ ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით.

გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება დადგენილი ვადის დაუცველად და ამის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ნებართვის მფლობელს.

ნებართვის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, რომელი სანებართვო პირობაა დარღვეული. თუ ნებართვის მფლობელი 3 თვის განმავლობაში გამოასწორებს დარღვეულ სანებართვო პირობას, იგი მიმართავს ნებართვის გამცემს ნებართვის მოქმედების განახლების მოთხოვნით. განცხადებაში მეწარმე უფლებამოსილია დასვას შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ნებართვის მოქმედების განახლების თაობაზე გადაწყვეტილების გამოცემის შესახებ.

- ✓ **გადაწყვეტილება ნებართვის მოქმედების შეჩერების ან განახლების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან სასამართლოში.**

ნებართვის გაუქმება

ნებართვის გაუქმების საფუძველია, თუ:

- ნებართვა გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა;
- იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ნებართვის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;
- ნებართვის მფლობელის მიერ არ სრულდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულებები;
- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ნებართვის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება;
- ამას მოითხოვს ნებართვის მფლობელი;
- სახეზეა ნებართვის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუუნაროდ ცნობა) და/ან ლიკვიდაცია;
- გავიდა ნებართვის მოქმედების შეჩერების ვადა და ამ ვადაში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი.

გასაჩივრების წესი

ლიცენზიის/ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მათი მოქმედების შეჩერების ან განახლების და/ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან სასამართლოში.
საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან შესაბამის რაიონულ სასამართლოში, კერძოდ:

- ✓ **განმცხადებელს უფლება აქვს, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა) გადაწყვეტილების გასაჩივრების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.**

- ✓ **თუ განმცხადებელი ფიზიკური პირი გადაწყვეტილებას ჯერ გაასაჩივრებს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდგომ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, იგი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟისაგან.**

- ✓ **აკრძალულია დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.**

სამინისტროში გასაჩივრება

ადმინისტრაციული საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის, სადაც აღინიშნება:
ა) ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;
ბ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
გ) იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, რომლის გადაწყვეტილება (მოქმედება ან უმოქმედობა) საჩივრდება;
დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების (მოქმედება ან უმოქმედობა) დასახელება;
ე) მოთხოვნა;
ვ) გარემოებები, რომლებსაც მოთხოვნა ეფუძნება;
ზ) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- ✓ **ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი უნდა იქნას ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების, ან ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთ თვეში.**

- ✓ **იგივე წესით გასაჩივრდება, ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა (მოქმედება ან უმოქმედობა).**

სამინისტრო არ განიხილავს საჩივარს, თუ:
ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;
ბ) სასამართლოში იხილება დავა იმავე მხარეებს შორის, იგივე საკითხზე;
გ) არსებობს ამ ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
დ) საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
ე) საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;
ვ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

სამინისტრო საჩივრის განხილვის (წარმოებაში მიღების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარდგენიდან 5 დღეში[6]. მანამდე კი, საჩივრის წარმდგენ პირს აძლევს საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლებას.

სამინისტრო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი, მაშინ სამინისტრო უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის ვადის ერთი თვით გაგრძელების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს[7].

სამინისტროს საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
1. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
2. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
3. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

- ✓ **სამინისტროს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში.**

სასამართლოში გასაჩივრება

სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში[8].

სარჩელში უნდა აღინიშნოს:
1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი;
2. მოსარჩელის ვინაობა და მისამართი;
3. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და მისამართი, რომლის აქტიც საჩივრდება;
4. მოსარჩელის მოთხოვნა;
5. გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა;
6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
7. სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

- ✓ **ლიცენზიის/ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას, თუ სამინისტრო ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.**

[6] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 182-ე მუხლი, მე-2 ნაწილი;
[7] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 183-ე მუხლი, მე-3 ნაწილი;
[8] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 22-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

სალიცენზიო-სანებართვო რეესტრი

სალიცენზიო/სანებართვო რეესტრის სახეებია:
1. უწყებრივი რეესტრი, რომელსაც აწარმოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური;
2. სახელმწიფო რეესტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მცენარეთა დაცვის სამსახური ვალდებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს მონაცემები ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი შეჩერების ანდა გაუქმების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

- ✓ **ლიცენზიის შესახებ მონაცემები სახელმწიფო და უწყებრივ სალიცენზიო/სანებართვო რეესტრში შეიტანება სარეგისტრაციო ჩანაწერის სახით.**
- ✓ **ნებართვის შესახებ მონაცემები შეიტანება მხოლოდ უწყებრივ სალიცენზიო/სანებართვო რეესტრში.**
- ✓ **ყველას აქვს უფლება, გაეცნოს სალიცენზიო/სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ლიცენზიებთან/ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.**

ინფორმაციის მისაღებად პირი შესაბამის უწყებაში წარადგენს წერილობით განცხადებას. სავალდებულო არ არის განცხადებაში მიეთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

- ✓ **აკრძალულია დაწესდეს რაიმე საფასური ინფორმაციის გაცემისათვის, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი საფასურის გარდა.**

რეესტრის სამსახური მოთხოვნილ ინფორმაციას (მონაცემებს) გასცემს დაუყოვნებლივ. გაცემის ვადა შეიძლება გაიზარდოს 10 დღემდე, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:
1. სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას ანდა კონსულტაციას;
2. მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

თუ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს, შესაბამისი დასაბუთებით.

სალიცენზიო/სანებართვო რეესტრში შეტანილი მონაცემები მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციის კატეგორიას, და ამ მონაცემების გაცემაზე უარი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. ასევე, სახელმწიფო ორგანო ვალდებულია რეესტრის მონაცემების გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმცხადებელს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

„პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვის გაცემის შესახებ" კანონის ამოქმედების შემდეგ მცენარეთა დაცვის სამსახურმა პესტიციდებით ვაჭრობაზე გასცა 9 ლიცენზია. აქედან 4 - მარტში, ხოლო 5 – აპრილში.

საწარმოები რეგისტრირებულია შემდეგ ქალაქებში:

ქალაქის დასახელება	რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა
თბილისი	2
გურჯაანის რაიონი	1
ახალციხე	1
გორი	5

პირველი ლიცენზია დათარიღებულია ა.წ. 12 მარტით, ხოლო ბოლო – 6 აპრილით.

- ✓ აღსანიშნავია, რომ პესტიციდების წარმოებაზე ჯერ არ გაცემულა არც ერთი ნებართვა.

მცენარეთა დაცვის სამსახურს პესტიციდების იმპორტზე გაცემული აქვს 14 ნებართვა, რომელთაც სამოქმედო ვადად მითითებული აქვს 1 წელი. აქედან შვიდი არის ერთჯერადი, ხოლო ხუთი ეტაპობრივი.

> **მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემულ ერთჯერად ნებართვებზე მითითებულია სამოქმედო ვადად ერთი წელი, რაც არის „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონის პირდაპირი დარღვევა. ერთჯერადი ნებართვა გულისხმობს ერთი ოპერაციის განხორციელების უფლებას, შესაბამისად ეს ერთი ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს და არა ერთი წლის განმავლობაში.**

გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების სიმცირე მეტყველებს იმაზე, რომ სფეროში არსებული ადმინისტრაციული ბარიერი ნაკლებად ქმედითია და ჩვენი პოზიციით ასეთი მცირე ბაზრის კონტროლს სახელმწიფო შეძლებს რეგისტრაციისა და სწორი სერტიფიკაციის სისტემის სრულყოფით და მცენარეთა დაცვის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებით.

- ✓ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე გაცემულია 202 ნებართვა.

ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი საწარმოების რეორგანიზაცია

ლიცენზიის (სალიცენზიო მოწმობის) გადაცემასთან დაკავშირებით ყურადება უნდა გავამახვილოთ საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის მომენტებზე, განსაკუთრებით კი, რეორგანიზაციის სახეებზე და ლიცენზიების ბედზე აღნიშნულ შემთხვევებში.

ლიკვიდაციის შემთხვევაში საწარმო უქმდება და ბუნებრივია, მასზე გაცემული ლიცენზია ანდა ნებართვა ავტომატურად ძალადაკარგულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი და არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ დროს საწარმო მხოლოდ ამოიშლება რეესტრიდან. საწარმოს ლიკვიდაცია – ესაა პროცესი, სადაც ინიშნება ლიკვიდატორი, დგინდება კრედიტორების მოთხოვნები, დებიტორები, საწარმო ჩვეულებრივ განაგრძობს ფუნქციონირებას და მიმდინარე საქმეების დასრულების, ყველა მოთხოვნის დადგენისა და ვალდებულების გასტუმრების შემდეგ მარეგისტრირებელი უწყება ამოშლის მას რეესტრიდან. ლიკვიდაცია შეიძლება რამდენიმე წელიც გაგრძელდეს;

რეორგანიზაცია მოიცავს რამდენიმე სახეს, რომელთაც დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება:

- **შეერთება (შერწყმა)** – ორი ან მეტი დამოუკიდებელი საწარმო ერთიანდება ერთ საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში წინამორბედი 2 საწარმოს მიერ აღებული ლიცეზიები გადაეცემა უფლებამონაცვლეს და იგი არ საჭიროებს ახალი ლიცენზიის აღებას, თუმცა საწარმოების რეგისტრაციის შეერთების შედეგად წარმოქმნილი ახალი საწარმოს რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში უნდა აცნობოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს, რათა მოახდინოს რეესტრული მონაცემების ცვლილება;
- **მიერთება** – არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი საწარმო, რომლებიც უერთდებიან ერთ საწარმოს. ასეთ შემთხვევაშიც საწარმო არ საჭიროებს ლიცენზირებას და საჭიროა მხოლოდ ზემოაღნიშნული წესით რეესტრული მონაცემების ცვლილება;
- **გაყოფა** – ერთი საწარმო იყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში გაყოფამდე აღებული ლიცენზია გადაეცემა ერთ-ერთს, ხოლო თუ დანარჩენ საწარმოებსაც სურთ ლიცენზირებადი საქმიანობის დაწყება, კანონით დადგენილი წესით უნდა მიიღონ ლიცენზია. იმ საწარმოს კი, რომელსაც გადაეცა გაყოფამდე მიღებული ლიცენზია, ეკისრება ვალდებულება მიმართოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს რეესტრული მონაცემების ცვლილებების განსახორციელებლად;
- **გამოყოფა** – არსებობს ერთი საწარმო და მას გამოეყოფა ერთი ან რამდენიმე საწარმო. საწარმო კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას, მას რჩება ლიცენზია და არ წარმოეშობა რეესტრული ცვლილებების თაობაზე ლიცენზიის გამცემისათვის მიმართვის ვალდებულება. გამოყოფილმა საწარმოებმა უნდა მიმართონ ლიცენზიის გამცემს კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის მისაღებად, თუ ისინი აპირებენ ლიცენზირებადი საქმიანობის დაწყებას;
- **გარდაქმნა** – არსებობს ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო (მაგ. სააქციო საზოგადოება) და იგი გარდაიქმნება სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ (მაგ. შპს-დ). ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის ხელახლა აღება საჭირო არ არის და საჭიროა მხოლოდ რეესტრული მონაცემების ცვლილება.

კონტროლის სისტემა

სამეწარმეო საქმიანობის კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა და იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება თვითნებურად შევიდეს საწარმოში და განახორციელოს მისი შემოწმება. ძირითადად ამ მიზნით, რომ თვითნებურად არავინ შესულიყო საწარმოში და განეხორციელებინა მისი შემოწმება, მიღებული იქნა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონი, რომელმაც საქართველოში კონტროლის სისტემა მოაქცია განსაზღვრულ ფარგლებში და მეწარმეთათვის შექმნა მყარი გარანტია მათი სამეწარმეო საქმიანობის უფლების დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული კანონით საქართველოში კონტროლის სისტემის სტაბილიზაციის მიზნით შეიქმნა მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრი. მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრის მიზანია მაკონტროლებელ ორგანოთა აღრიცხვა და არაუფლებამოსილი ორგანოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის დაუშვებლობა.

იმისათვის, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ განახორციელოს კონტროლი მეწარმის საქმიანობაზე, იგი რეგისტრირებული უნდა იყოს მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში. მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აკრძალულია სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლი განახორციელოს იმ ორგანომ, რომელიც არ არის რეგისტრირებული მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში. სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანომ, აგრეთვე შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. განცხადებას უნდა დაერთოს:

- სამეწარმეო საქმიანობის სახეების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა განახორციელოს კონტროლი;
- მითითება ნორმატიული აქტის (მაგ., კანონის) კონკრეტულ მუხლზე ან მუხლებზე, რომლებიც მას ანიჭებენ სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებას.

ლიცენზიის/ნებართვის გამცემ ორგანოებს ლიცენზიის ანდა ნებართვის მფლობელის საქმიანობის კონტროლის უფლება მიანიჭა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ მასალებს იხილავს მათი წარდგენიდან 10 დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ორგანო გაატარა რეგისტრაციაში როგორც მაკონტროლებელი, მაშინ იგი მასზე გასცემს რეგისტრაციის ცნობას.

კონტროლის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით კონტროლს არ წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკატის გაცემა, სავაჭრო ქსელში სერტიფიკატის მოთხოვნა და შესაბამისი აქტის შედგენა. მეწარმის შემოწმება ლიცენზიის ანდა ნებართვის მიღების შემდეგ

ექცევა კონტროლის საერთო რეჟიმში და მაკონტროლებელ ორგანოს უფლება არა აქვს სასამართლო ბრძანების გარეშე განახორციელოს მისი კონტროლი.

ლიცენზიის/ნებართვის გამცემ ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ მეწარმის საქმიანობაზე კონტროლი მხოლოდ სალიცენზიო ანდა სანებართვო პირობებთან დაკავშირებით; კერძოდ, იმ წესების, ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობის შესრულებაზე კონტროლი, რომელთა დაცვაც მოეთხოვება ლიცენზიის/ნებართვის მფლობელს ლიცენზიით/ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას. ლიცენზიის ანდა ნებართვის მისაღებად დადგენილი პირობების შემოწმება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტროლად არ ითვლება.

შემოწმების დაწყებამდე ლიცენზიის/ნებართვის გამცემი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია შემოწმების დაწყებამდე მიმართოს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე გააჩნია მეწარმეს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). შუამდგომლობა მეწარმის შემოწმების თაობაზე უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება შესამოწმებელი მეწარმის ზუსტი მონაცემები – სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი – შემოწმების ვადა და ფარგლები ანუ მითითება იმის შესახებ თუ კონკრეტულად მეწარმის საქმიანობის თუ დოკუმენტაციის რა ნაწილი უნდა შეამოწმოს მაკონტროლებელმა ორგანომ. შუამდგომლობას ასევე უნდა დაერთოს მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ცნობის ასლი, რომელსაც შესაბამისი უწყების მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციაში გატარებისას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. თუ ეს ცნობა არ დაერთო შუამდგომლობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და წარმოებაში არ მიიღებს შუამდგომლობას.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე შეაჩეროს მეწარმის საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ (იმავე დღეს ან თუ ეს ვერ ხერხდება არაუგვიანეს მომდევნო დღისა) მიმართოს მოსამართლეს შემოწმების შესახებ ბრძანების მისაღებად. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მეწარმეს ანდა შეჩერების წინააღმდეგია მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით დაწყებული შემოწმების კანონიერად ცნობისა და შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია სასამართლოსადმი გაგზავნილ შუამდგომლობაში დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა, რამაც განაპირობა შემოწმების დაწყება მოსამართლის ბრძანების მიღებამდე.

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მაკონტროლებელი ორგანოსა და მეწარმის თანდასწრებით და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში. შუამდგომლობის განხილვისას მეწარმეს ანდა მის წარმომადგენელს ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საწინააღმდეგო მოსაზრებები. მოსამართლე

ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ. თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეწარმის საქმიანობის შემოწმება სასამართლოსადმი მიმართვამდე დაწყებული იყო და მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მეწარმის შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს მოსთხოვოს მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანების მიღება არ არის მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის ავტომატურად დაწყების საფუძველი; ამისათვის საჭიროა მოსამართლის მიერ მიღებული ბრძანება შევიდეს კანონიერ ძალაში ანუ უნდა გავიდეს ბრძანების გასაჩივრების ვადა. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის ძალაში შესვლას. მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ შესაბამის საოლქო სასამართლოში ბრძანების ასლის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. საოლქო სასამართლო საქმეს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში. საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

თუ მოსამართლის მიერ მიღებულია დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მაკონტროლებელ ორგანოს იგივე ვადაში და წესით შეუძლია ეს დადგენილება გაასაჩივროს საოლქო სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში დაწყებული შემოწმება შეჩერდება და მისი შემდგომი გაგრძელების ან შეწყვეტის ბედი დამოკიდებული იქნება საოლქო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

კონტროლის სისტემის სრულყოფის, გამოვლენილი ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და სახელმწიფოში მეწარმეებზე განხორციელებული კონტროლის თაობაზე ერთიანი სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის მიზნით თითოეული მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანების გაცემის შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებების რაოდენობისა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2004 წლის 6 მაისის მონაცემებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური არ არის რეგისტრირებული მაკონტროლებელ ორგანოდ სალიცენზიო/სანებართვო პირობების შემოწმებაზე.

პასუხისმგებლობა

ლიცენზიის ანდა ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობისათვის დარღვევის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად დაწესებულია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია მხოლოდ ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე საქმიანობის ფაქტი, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მხოლოდ საქმიანობის ფაქტი არ არის საკმარისი; დამატებით აუცილებელია ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი იქნეს გამოწვეული, რაც თავის მხრივ შეფასებასა და მტკიცებას მოითხოვს ან სახეზე უნდა იყოს მეწარმის მიერ დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანოების მოხელეების საქმიანობაზეც, თუ ისინი დაუსაბუთებლად უარს ეტყვიან ლიცენზიის/ნებართვის მაძიებელს ან მისი გაცემის შემდეგ განახორციელებენ სალიცენზიო/სანებართვო პირობების შემოწმებას კონტროლის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დარღვევით, რაც მეწარმისათვის მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა

1.უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, –
გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე.

2. მეურნე სუბიექტის საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში მათ მიერ სავაჭრო ოპერაციების (მომსახურების) განხორციელება, –
გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზრაურების შვიდასი მინიმალური ოდენობით.

(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164 მუხლი)

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

უკანონო სამეწარმეო საქმიანობა

1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის/ლიცენზიის გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება –
ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ჯგუფურად;
ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ –
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

/სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 192/

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა

დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე, ანდა მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია –
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

/სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 190/

სერტიფიკაცია

პესტიციდების სფეროში მოქმედებს ორი სახის სერტიფიკატი:

1. ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია.
2. შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აკრედიტირებული საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის აგროქიმიის საკვლევი ლაბორატორია.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი

ლიცენზია/ნებართვის მისაღებად ერთ-ერთი პირობა არის ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი, რომელიც სავალდებულოა ობიექტის ექსპლუატაციისათვის და ადასტურებს ობიექტის სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობას. სერტიფიკატის მისაღებად თავის მხრივ დადგენილია საკმაოდ მოცულობითი და გაურკვეველი მოთხოვნები, რითაც იგი თვისობრივად ემსგავსება ნებართვას.

მოთხოვნები ობიექტის ჰიგიენურ სერტიფიკატზე დადგენილია სანიტარიული კოდექსით. კერძოდ:

⇒ განცხადება;

⇒ ეპიდემიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტის სანიტარიული მინიმუმის ჩაბარებას დაქვემდებარებულ მუშაკთა ჩამონათვალი;

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯერ არ დაუდგენია, თუ რა ტიპის საწარმოა ეპიდემიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტი, აბრეთვე სანიტარიული მინიმუმის ჩაბარებას დაქვემდებარებული მუშაკების ჩამონათვალი და ბოლოს მათი სანიტარიული მინიმუმის ჩაბარების წესი.

⇒ ობიექტის პროექტი (საჭიროების შემთხვევაში);

⇒ ტექნოლოგიური პროცესის (მომსახურების) ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაცია;

⇒ პროდუქციაზე ეროვნული ან მეწარმე სუბიექტის სტანდარტი;

⇒ ობიექტზე გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში მასალის, ნივთიერების, ნაკეთობის, მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყოებისა და სამუშაო ინსტრუმენტების უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები (ჰიგიენური სერტიფიკატი, ჰიგიენური დასკვნა და სხვა), რომლებიც გაცემულია პროდუქციის დამამზადებელი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის პროცედურით გათვალისწინებულია ობიექტის ჰიგიენური შეფასება (საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული გამოცდის, კვლევის მეთოდების გამოყენება) და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

გაურკვეველია, რას ნიშნავს საჭიროების შემთხვევაში, რადგანაც მიკრობებისა და ბაქტერიების აღმოჩენა შესაძლებელია, მხოლოდ ლაბორატორიული გამოცდის საშუალებით. ჩვენი აზრით, კანონში არ

უნდა ხვდებოდეს ჩანაწერები, რომლებიც რეალურად ქმნიან სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი გაიცემა (ან გაცემაზე უარი ითქმება) მისი მფლობელის (მესაკუთრის) მიერ სანიტარიული სამსახურის დაწესებულებაში განცხადების წარდგენიდან 15 დღეში, ხოლო თუ ობიექტის შესწავლა საჭიროებს ლაბორატორიული გამოცდის, კვლევის მეთოდების გამოყენებას – 30 დღეში.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სანიტარიული სამსახურის დაწესებულება ვალდებულია ობიექტის მფლობელს (მესაკუთრეს) წერილობით აცნობოს:

- ⇒ სანიტარიული ნორმებითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებსაც არ აკმაყოფილებს ობიექტი;
- ⇒ სანიტარიულ-ტექნიკურ, პროფილაქტიკურ სანიტარიულ-ჰიგიენურ და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულების შემდეგ შესაძლებელია განმეორებით დადგეს ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის საკითხი.

ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატი განმეორებით გაიცემა, თუ:

- ⇒ შეიცვალა ჰიგიენური სერტიფიკატით ობიექტისათვის დადგენილი საქმიანობის პროფილი და სიმძლავრე, პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა (მოცულობა);
- ⇒ განხორციელდა ობიექტის რეკონსტრუქცია (ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება);
- ⇒ ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გაუქმების შემდეგ შესრულდა სანიტარიული სამსახურის დაწესებულების მიერ დასახული სანიტარიულ-ტექნიკური, პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სანიტარიული კოდექსის 39-ე მუხლი, რომელიც შეეხება ობიექტის ჰიგიენურ სერტიფიკატს (გაცემის წესი, მისი შეჩერება და განახლება) გაუგებარი და სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მაღალი თანამდებობის პირებისათვის განუსაზღვრელი, სუბიექტურად გამოსაყენებელი უფლებამოსილების მიმნიჭებელია, რაც საბოლოოდ არასასურველი შედეგის მომტანია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვის სისტემაში.

შენიშვნა: ობიექტის ჰიგიენური სერტიფიკატის გასაცემად კანონით მოსაკრებლის დაწესებამდე დროებით გაიცემა ჰიგიენური დასკვნა, რომლის გასაცემად ოფიციალურად (კანონით) მოსაკრებელი არ არის დაწესებული და სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ იგი უნდა გასცეს უფასოდ. სერტიფიკატის ნაცვლად დასკვნის გაცემა შეთანხმებულია ნებართვის გამცემ ორგანოსთან და მეწარმეებს მასთან დაკავშირებით პრობლემა არ წარმოშობიათ.

შესაბამისობის სერტიფიკატი

სერტიფიკაცია ეს არის დადგენილ მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება, რის საფუძველზეც მეწარმეს ეძლევა შესაბამისობის სერტიფიკატი (სერტიფიკაციის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტი).

საქართველოს კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" მიღებულ იქნა 1996 წლის 6 სექტემბერს. ამ კანონით განსაზღვრულია პროდუქციის, მომსახურების, სხვა ობიექტების სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სამართლებრივი საფუძვლები, აგრეთვე სერტიფიკაციის მონაწილეთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.

სერტიფიკაციის მიზნებია:

- შეუქმნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის, აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პირობები;
- დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში;
- დაიცვას მომხმარებელი პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის, შემსრულებლის) არაკეთილსინდისიერებისგან;
- გააკონტროლოს პროდუქციის უსაფრთხოება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დასაცავად;
- დაადასტუროს დამამზადებლის მიერ განცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები.

✓ სერტიფიკაცია შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი.

სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავენ საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მცენარეთა დაცვის სამსახური), რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და ჩატარება.

სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანიზება და სამუშაოთა ჩატარება ეკისრება საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპატრტამენტს, ხოლო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიმართ სავალდებულო სერტიფიკაცია შეიძლება დაეკისროთ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და იურიდიულ პირებს საკუთრების ფორმის განურჩევლად.

სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოებში მონაწილეობენ:

- საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპატრტამენტი;
- სერტიფიკაციის ორგანოები;
- საგამოცდო ლაბორატორიები – სერტიფიკაციის შესაბამის სისტემაში დადგენილი წესით აკრედიტირებული ლაბორატორია (ცენტრი) ცდის კონკრეტულ პროდუქციას და გასცემს გამოცდის ოქმს სერტიფიცირებისთვის.

- იურიდიული პირები;
- სერტიფიკაციის სისტემების ცენტრალური ორგანოები.

✓ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ჩატარებაში მონაწილეობა შეუძლიათ საკუთრების ნებისმიერი ფორმის რეგისტრირებულ არაკომერციულ (არამომგებიან) გაერთიანებებს, კავშირებსა და ორგანიზაციებს, თუ ისინი აკრედიტირებული არიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ.

სერტიფიკაციის ორგანო ახდენს პროდუქციის სერტიფიკაციას, გასცემს სერტიფიკატებს შესაბამისობის ნიშნის გამოსაყენებლად; შეაჩერებს ან აუქმებს თავისი გაცემული სერტიფიკატის მოქმედებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტსა და საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით ევალებათ სავალდებულო სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება; წარუდგენს განმცხადებელს საჭირო ინფორმაციას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის დამამზადებელი ვალდებულია ამ პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ან აღიარებული შესაბამისობის სერტიფიკატით, ასევე უზრუნველყოს აღნიშნული პროდუქციის შესაბამისობა ნორმატიული დოკუმენტების იმ მოთხოვნებთან, რომელთა შესაბამისობის დასადასტურებლად იყო ეს პროდუქცია სერტიფიცირებული და დადგენილი წესით ნიშანდებული შესაბამისი ნიშნით.

პესტიციდები ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიკაციას. საბამოცდო ლაბორატორიას, რომელიც გასცემს ოქმს სერტიფიცირებისთვის, წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო აბრარული უნივერსიტეტის აბროქიმიის საკვლევი ლაბორატორია.

საქართველოში პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაცია, სარეგისტრაციო გამოცდები და ექსპერტიზა

პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაცია არის პროცესი, რომლის საფუძველზეც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური სარეგისტრაციო გამოცდის ორგანიზაციისა და რეგისტრაციის სფეროში სამეცნიერო მონაცემების კომპლექსური შეფასების შემდეგ იძლევა პესტიციდების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგისტრაციის დებულებაში ცვლილებები არ შეტანილა. „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის შემოღებამდე რეგისტრაცია აძლევდა მეწარმეს პესტიციდების წარმოების, შემოტანისა და რეალიზაციის უფლებას. კერძოდ, "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით: "პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაცია – პროცესი, რომლის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზაციისა და რეგისტრაციის სფეროში სამეცნიერო მონაცემების კომპლექსური შეფასების შემდეგ იძლევა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას." ამრიგად, ლიცენზია/ნებართვა და რეგისტრაცია სამართლებრივად ერთი და იგივე უფლებას იძლევა, თუ არ დავამატებთ, რომ რეგისტრაცია დამატებით შენახვისა და რეკლამის უფლებას ანიჭებს.

ვინაიდან საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების" კანონის შემდგომაა მიღებული, იგი წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო აქტს ამ სფეროში და ცვლილებები მასთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნდა განხორციელდეს. საკანონმდებლო ცვლილებებით მკაცრად უნდა გაიმიჯნოს რეგისტრაციისა და ლიცენზია/ნებართვის დანიშნულება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი გაურკვევლობა იქმნება.

ამასთან დაკავშირებით, მცენარეთა დაცვის სამსახური აღნიშნავს, რომ არანაირ სამართლებრივ გაურკვევლობას ადგილი არ აქვს და, რომ რეგისტრაციის არსი ნათლადაა გადმოცემული სოფლის მეურნეობის მინისტრის 2000 წლის 14 ნოემბრის ბრძანებაში „საქართველოში პესტიციდების სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზის და რეგისტრაციის დებულების" დამტკიცების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებაშიც რეგისტრაცია განმარტებულია ისევე როგორც „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების" კანონში: „სახელმწიფო რეგისტრაცია – პროცესი, რომლის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზაციისა და რეგისტრაციის სფეროში სამეცნიერო მონაცემების კომპლექსური შეფასების შემდეგ იძლევა პესტიციდების საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას."

სახელმწიფო რეგისტრაცია

- პესტიციდის სახელმწიფო რეგისტრაცია ხორციელდება სარეგისტრაციო ორგანოს (მცენარეთა დაცვის სამსახური) სამუშაო აპარატის მიერ 5 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ იგი ექვემდებარება განმეორებით

რეგისტრაციას. ასევე პრეპარატი შეიძლება დარეგისტრირდეს შემოკლებული ვადით – 3 წელი.

რეგისტრაციას ექვემდებარება ის პესტიციდები, რომელზეც მიღებულია დადებითი დასკვნები სათანადო სამინისტროების და უწყებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან, ექსპერტებისგან, გამოცდის შედეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად მოიწვევა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

პესტიციდების რეგისტრაცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ კვლევები ჩატარებულია რეგისტრაციის შესახებ დებულებით განსაზღვრული ძირითადი კულტურების მოყვანის ნიადაგურ-კლიმატურ ზონებში მავნე ობიექტების გათვალისწინებით.

რეგისტრირებულ პესტიციდს მიენიჭება სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრანტს მიეცემა სარეგისტრაციო მოწმობა.

- ✓ რეგისტრაციის ნომერი და ვადა ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში და მიეთითება საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართულ პესტიციდთა სახელმწიფო კატალოგში (“სიაში”), რომელიც ქვეყნდება მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ 5 წელიწადში ერთხელ, ხოლო დამატებითი სიები ყოველწლიურად.
- ✓ აკრძალულია ყველა იმ არარეგისტრირებული პესტიციდის წარმოება, რეკლამა, აგრეთვე გამოყენების რეგლამენტი[9], რომელიც არ შეესაბამება კატალოგს.

სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილებით რეგისტრაცია შეიძლება შეიზღუდოს ან შეწყდეს ხუთწლიანი ვადის გასვლამდე, თუ მიღებულია ახალი ცნობები პესტიციდის საშიშროების შესახებ. აღნიშნული ცვლილებები მიეთითება ყოველწლიური “სიის” დამატებაში.
მცენარეთა დაცვის სამსახური შეტყობინებას პესტიციდის აკრძალვაზე ან მკაცრ შეზღუდვაზე და მიღებულ საკონტროლო ღონისძიებებზე უგზავნის სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებს (FAO, UNEP)[10].

- ✓ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში პესტიციდი შეიძლება დარეგისტრირდეს შემოკლებული ვადით. ამ პერიოდში საჭიროა წარმოდგენილ იქნეს პესტიციდის მუდმივი რეგისტრაციისთვის აუცილებელი მონაცემები.

„ცალკეულ შემთხვევებში” იგულისხმება ისეთი სიტუაცია, როდესაც პესტიციდის მოქმედი ნივთიერება კარგად არ არის შესწავლილი, რის გამოც პრეპარატის რეგისტრაცია ხდება 3 წლით. ხოლო „მუდმივი რეგისტრაცია” გულისხმობს ზემოაღნიშნულ ხუთ წლიან ვადას.

უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა დაცვის სამსახურში აქტიურად მიმდინარეობს ევრო-სტანდარტებზე გადასვლის პროცესი. ამასთან დაკავშირებით, გრძელვადიანი რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს 10 წლით. აღნიშნულ ცვლილებას სამსახურის ექსპერტები მხოლოდ მოქმედ ნივთიერებასთან დაკავშირებით თვლიან მიზანშეწონილად, ხოლო თვით პესტიციდის რეგისტრაციის ვადა, მათი აზრით, იგივე უნდა დარჩეს.

[9] აუცილებელი მოთხოვნა პესტიციდების გამოყენების წესისა და პირობების შესახებ
[10] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა

სარეგისტრაციო პროცესის ეტაპები:

- ❖ რეგისტრანტის მიერ წარდგენილი განცხადების ექსპერტიზა;
- ❖ სარეგისტრაციო გამოცდები:

1. პესტიციდების გამოყენების ეფექტურობის და ბიოლოგიური რეგლამენტის დადგენა;
2. ჰიგიენური ნორმატივების, სანიტარული ნორმებისა და წესების დადგენა;
3. გამოყენების რეგლამენტის ტექნიკური შეფასება, ბუნების დაცვის წესებისა და ნორმების დადგენა;
4. სარეგისტრაციო გამოცდების მასალების ექსპერტიზა პესტიციდის რეგისტრაციისათვის და მასალების მომზადება კატალოგის შესადგენად.

სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდები

მცენარეთა დაცვის სამსახური ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს სარეგისტრაციო გამოცდების ჩატარებას, ხოლო მათ ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და ექსპერტები სარეგისტრაციო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

რეგისტრაციაზე განცხადების ექსპერტიზის საფუძველზე პესტიციდები დაიშვებიან სარეგისტრაციო გამოცდებზე.

- ✓ პესტიციდის დოსიეზე საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ ან პესტიციდის გამოცდის პროგრამისა და ჩატარების დროის შესახებ.

მას შემდეგ, რაც მცენარეთა დაცვის სამსახური მიიღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო გამოცდის ჩატარების შესახებ, ხდება პესტიციდის ჩართვა გამოცდის გეგმაში.

სარეგისტრაციო გამოცდის ჩატარებისთვის რეგისტრანტი ვალდებულია წარადგინოს:

- პესტიციდის საცდელი პარტია
- მოქმედი საწყისი ანალიტიკური სტანდარტები

მოქმედ საწყისს ანალიტიკურ სტანდარტს უშვებს თავად მეწარმე. ქიმიური ანალიზის დროს სტანდარტის გამოყენება ექსპერტს საშუალებას აძლევს შეადაროს პესტიციდის შამადგენლობაში მოქმედი ნივთიერებისა და მინარევების პროპორციების სიზუსტე.

- ტექნიკური პროდუქტი (ანალოგიურია მოქმედი ნივთიერებისა)
- მეტაბოლიტების სტანდარტები (საჭიროების შემთხვევაში)

- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე პესტიციდების მიწოდება ხდება რეგისტრანტის ხარჯზე.
- ✓ სახელმწიფო გამოცდები ტარდება სახელმწიფოს ან რეგისტრანტის ხარჯზე.

კანონში ასეთი სახის ჩანაწერის არსებობა მიუღებელია, რადგან მკაცრად უნდა განისაზღვროს, როდის ხდება პროცესის წარმართვა სახელმწიფოს ხარჯზე და როდის რეგისტრანტის სახსრებით.

სარეგისტრაციო გამოცდის ხანგრძლივობაა 12-24 თვე ან 1-2 მთლიანი სავეგეტაციო სეზონი. თუ წარმოდგენილი პრეპარატი შეიცავს მოქმედ ნივთიერებას, რომელიც შედის იმავე დანიშნულების უკვე რეგისტრირებული პესტიციდის შემადგენლობაში, იმავე კულტურებზე სადემონსტრაციო გამოცდები ტარდება საჭიროებისას ერთი სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში. კომბინირებული პრეპარატებისთვის, რომელთა კომპონენტებმა გაიარეს გამოცდები ჩვეულებრივი სქემით, და ანალოგებისათვის – საჭიროების შემთხვევაში 12 თვე.

საქართველოში ან სხვა ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში გამოყენებულ პესტიციდებზე ტარდება მხოლოდ პრეპარატის ძირითად მაჩვენებლებზე სარეგისტრაციო ორგანოს მიერ შედგენილი დოსიეს შემოწმება. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს სადემონსტრაციო გამოცდები ერთ სავეგეტაციო პერიოდში.

სადემონსტრაციო გამოცდები ტარდება შეზღუდულ ფართობზე, ხოლო, თუ პესტიციდი რეგისტრირებულია მაღალგანვითარებულ ან დსთ-ს ქვეყნებში აღნიშნული პროცედურა იწარმოება სარეგისტრაციო მოწმობაში მითითებული რეგლამენტით, "სიაში" პრეპარატზე მოკლე დოსიესა და გამოყენების რეკომენდაციების წარდგენის საფუძველზე.

გამოცდების ჩატარების დროს ცხოველებზე ექსპერიმენტები შეიძლება ჩატარდეს მხოლოლდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მასზე მონაცემები.
მონაცემების არარსებობაში იგულისხმება პესტიციდებზე მონაცემები.

სარეგისტრაციო გამოცდის ქსელში ჩართული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წარადგინონ სარეგისტრაციო ორგანოში ანგარიში საცდელი პარტიის ხარჯვის შესახებ მიმდინარე წლის პირველი დეკემბრისთვის.

სარეგისტრაციო მასალების ექსპერტიზის წესი და ვადები

ექსპერტიზისათვის პესტიციდის რეგისტრანტი რეგისტრაციაზე განაცხადს აბარებს მცენარეთა დაცვის სამსახურში, რომელთანაც დებს კონტრაქტს ერთი თვის ვადაში.

ექსპერტიზის ან გამოცდების ჩატარებისათვის სარეგისტრაციო ორგანო აფორმებს შუალედურ ხელშეკრულებას სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, რომლებსაც ევალებათ გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით წარმოადგინონ დასკვნა.

- ✓ ექსპერტიზის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება სარეგისტრაციო ორგანოსა და რეგისტრანტს შორის დადებული კონტრაქტით და მიეთითება ს/კ ორგანიზაციასთან, ექსპერტთან დადებულ ხელშეკრულებაში. გამოცდების შემდეგ ექსპერტი ამზადებს ანგარიშს ან დასკვნას რეკომენდაციებით და გადასცემს მცენარეთა დაცვის სამსახურს.

რეგისტრანტს ან პრეპარატის შემმუშავებელს უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს პესტიციდის სარეგისტრაციო გამოცდების შედეგების ექსპერტიზაში.

უწყებებში საბუთების განხილვის ვადად დადგენილია 15 დღე საბუთის მიღებიდან. სარეგისტრაციო ორგანოში პესტიციდის რეგისტრაციისთვის გამზადებული მასალის განხილვის დადგენილი ვადა – 30 დღე.

რეგისტრაციაზე განაცხადის შევსების და წარდგენის წესი

განაცხადი რეგისტრაციაზე შეიძლება წარადგინოს:

- შემმუშავებელმა[11]
- დამამზადებელმა[12]
- ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელიც ახორციელებს პესტიციდების რეალიზაციას.

განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პესტიციდზე და შეესაბამებოდეს რეგისტრაციის დებულების მოთხოვნებს.

✓ დოსიეს წარდგენა ხდება ქართულ, ინგლისურ, გერმანულ ან რუსულ ენებზე, ხოლო მისი მოკლე რეზიუმის – ოთხ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე (დასაშვებია რუსულზეც).

განაცხადი პირობითად დაყოფილია ორ ნაწილად:

- მონაცემები, რომელსაც ადგენს რეგისტრანტი (პრეპარატზე დოსიე)
- მონაცემები, რომელსაც რეგისტრანტი ადგენს საქართველოს პირობებში გამოცდების შედეგების საფუძველზე.

✓ დოკუმენტაცია, რომელიც გაფორმებულია დებულებიდან გადახრებით, უნდა დაუბრუნდეს რეგისტრანტს.

სარეგისტრაციო ორგანოში პირველად მიმართვის დროს რეგისტრანტი ადგენს დოსიეს პრეპარატზე, რომელიც შედგენილია მოცემული დებულების თანახმად ერთ ეგზემპლარად და რეზიუმეს – ოთხ ეგზემპლარად. დასაშვებია პრეპარატზე მოკლე რეზიუმეს წარდგენა რომელიმე მიზეზით ამ მომენტში მთლიანი დოსიეს უქონლობის შემთხვევაში. ხოლო შემდგომში, ახალი მოქმედი ნივთიერების რეგისტრაციისათვის, რეგისტრანტი ვალდებულია წარმოადგინოს მთლიანი დოსიე. დოსიეს ღებულობს სარეგისტრაციო ორგანოს მდივანი და სპეციალისტი, რომელიც ხელმძღვანელობს პრეპარატების გარკვეულ ჯგუფს. პრეპარატის დოსიეს მიღების ფაქტი ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში, მიღების თარიღების, ტომების რაოდენობის, საბუთების ჩამბარებლის გვარის აღნიშვნით და ხელის მოწერით.

სარეგისტრაციო მოსაკრებლები

❒ პესტიციდის ახალი მოქმედი ნივთიერების რეგისტრაცია:

1. **ფუნგიციდის**:

1.1	I კულტურათა ჯგუფის	– 3545 ლარი;
1.2	II კულტურათა ჯგუფის	– 3835 ლარი;

2. **ინსექტოაკარიციდის**:

[11] ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ქმნის პესტიციდს, შეისწავლის მის აქტივობას, ტოქსიკოლოგიურ თვისებებს და გარემოზე ზემოქმედებას.

[12] ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს პესტიციდს.

2.1 I კულტურათა ჯგუფის – 3570 ლარი;
2.2 II კულტურათა ჯგუფის – 3960 ლარი;
3. **ჰერბიციდის და ზრდის რეგულატორების**:
3.1 I კულტურათა ჯგუფის – 3145 ლარი;
3.2 II კულტურათა ჯგუფის – 3400 ლარი;
4. **ნემატიციდის, თესლის შესაწამლის, როდენტიციდის, ფერომონის** – 3225 ლარი;

✓ პესტიციდის ახალი პრეპარატული ფორმის რეგისტრაცია:
1. **ფუნგიციდის:**
1.1 I კულტურათა ჯგუფის – 2285 ლარი;
1.2 II კულტურათა ჯგუფის – 2455 ლარი;
2. **ინსექტოაკარიციდის:**
2.1 I კულტურათა ჯგუფის – 2350 ლარი;
2.2 II კულტურათა ჯგუფის – 2560 ლარი;
3. **ჰერბიციდის და ზრდის რეგულატორების**:
3.1 I კულტურათა ჯგუფის – 2160 ლარი;
3.2 II კულტურათა ჯგუფის – 2225 ლარი;
4. **ნემატიციდის, თესლის შესაწამლის, როდენტიციდის, ფერომონის** – 2210 ლარი;

✓ პესტიციდების ანალოგების და რეგისტრირებული მოქმედი ნივთიერებების შემცველი კომბინირებული პრეპარატების რეგისტრაცია – 1285 ლარი;

✓ რეგისტრირებული პესტიციდების გამოყენების სფეროს გაფართოების მიზნით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯგუფების რეგისტრაცია:
1. **ფუნგიციდის:**
1.1 I კულტურათა ჯგუფის – 1335 ლარი;
1.2 II კულტურათა ჯგუფის – 1460 ლარი;
2. **ინსექტოაკარიციდის:**
2.1 I კულტურათა ჯგუფის – 1390 ლარი;
2.2 II კულტურათა ჯგუფის – 1545 ლარი;
3. **ჰერბიციდის და ზრდის რეგულატორების**:
3.1 I კულტურათა ჯგუფის – 1290 ლარი;
3.2 II კულტურათა ჯგუფის – 1345 ლარი;
4. **ნემატიციდის, თესლის შესაწამლის, როდენტიციდის, ფერომონის** – 1340 ლარი;

✓ პესტიციდების შემოკლებული ვადით (ანუ დროებითი) რეგისტრაცია:
1. **ფუნგიციდის:**
1.1 I კულტურათა ჯგუფის – 1770 ლარი;
1.2 II კულტურათა ჯგუფის – 1920 ლარი;
2. **ინსექტოაკარიციდის:**
2.1 I კულტურათა ჯგუფის – 1785ლარი;
2.2 II კულტურათა ჯგუფის – 1980 ლარი;
3. **ჰერბიციდის და ზრდის რეგულატორების**:
3.1 I კულტურათა ჯგუფისა – 1557 ლარი;
3.2 II კულტურათა ჯგუფისა – 1700 ლარი;
4. **ნემატიციდის, თესლის შესაწამლის,**

როდენტიციდის, ფერომონის – 610 ლარი;
პესტიციდების ხელახალი რეგისტრაცია – 560 ლარი.

პესტიციდების მარკირების წესი

"პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალება პესტიციდების მარკირების წესის შემუშავება, ხოლო მის საქვეუწყებო ერთეულს – მცენარეთა დაცვის სამსახურს – კონტროლის განხორციელება მარკირების წესის დაცვაზე. პესტიციდების მარკირების წესი დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-262 ბრძანებით, რომელიც გამოცემულია 2000 წლის 14 ნოემბერს.

პესტიციდების მარკირების მიზანია მათ შესახებ ზუსტი ინფორმაციის ფლობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისთვის. მარკირების შედეგად ხდება პესტიციდის ეტიკეტირება, ხოლო ეტიკეტზე აღინიშნება პრეპარატის დასახელება და მასთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები. ეტიკეტზე შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე გამოყენების წესი.

პესტიციდების მარკირების წესი შემუშავებულ იქნა "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების" საქართველოს კანონისა და "პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსის" მოთხოვნათა შესასრულებლად. იგი არეგულირებს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატებისა და ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანი გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების სფეროში მარკირების დროს.
აღნიშნული წესი ეხება ყველას, ვინც ახორციელებს საქართველოში პესტიციდებთან დაკავშირებულ საქმიანობას:

- წარმოება;
- დაფასოება;
- შემოტანა;
- ტრანსპორტირება;
- შენახვა;
- რეალიზაცია;
- რეკლამა;
- გამოყენება.

✓ პესტიციდების მარკირების წესი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს მაკონტროლებელი ორგანოებისთვის ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებისათვის.

ყველა, ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია პესტიციდების გავრცელებასა და გამოყენებასთან, ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ვალდებულია ყურადღება მიაქციოს პრეპარატული ფორმების შეფუთვასა და მარკირებას.

ექსპორტიორმა ქვეყნებმა (ფირმებმა) პესტიციდების ყოველ პარტიას უნდა დაურთონ ინსტრუქციები ქართულ ენაზე იმ ფორმითა და მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო და ეფექტიან გამოყენებას.

საერთაშორისო ინსტრუქციების თანახმად, პესტიციდების მიმოქცევისას ტარაზე ეტიკეტი მითითებული უნდა იყოს რამდენიმე საერთაშორისო ენაზე.

✓ ეტიკეტის დიზაინი არ არის რეგლამენტირებული

ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

- მონაცემები პესტიციდის შესახებ: ზოგადი სახელწოდება; მოქმედი ნივთიერება (ბიოლოგიური პრეპარატებისათვის მიკროორგანიზმის სახეობრივი შემადგენლობა, შტამის[13] ან იზოლატის სახელწოდება); პრეპარატული ფორმა;
- დანიშნულება (ინსექტიციდი, ფუნგიციდი, ჰერბიციდი და ა.შ.);

- გამოყენების სფერო (რომელი მავნე ორგანიზმის მიმართ და რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურასა და ობიექტზე გამოიყენება);
- პრეპარატის რაოდენობა (კგ., ლ., მგ., გ.);
- პესტიციდის საშიშროების კლასი და საშიშროების ნიშანი (შესაბამისი ფერის ზოლი ტარაზე). საშიშროების აღმნიშვნელი პიქტოგრამები და სიმბოლოები;
- ანტიდოტი (პესტიციდის არასწორი ხმარებით გამოწვეული მოწამვლის საწინააღმდეგო საშუალება);
- შეზღუდვები;
- დამამზადებლის სრული სახელწოდება და რეკვიზიტები, სავაჭრო მარკა (ან სასაქონლო ნიშანი);
- სარეგისტრაციო ნომერი (პესტიციდის რეგისტრაციისას მინიჭებული ნომერი);
- დამზადების თარიღი და ვარგისიანობის ვადა; პრეპარატის ყოველი პარტიის დანიშვნა ციფრებით ან ასოებით;
- შენახვის პირობები;
- ტარის ხელახალი გამოყენების დაუშვებლობა და ინსტრუქცია ჭურჭლის უსაფრთხო უტილიზაციისა და გაუვნებელყოფის შესახებ;
- ტარაზე გამოკვეთილად აღინიშნება გამაფრთხილებელი წარწერა: "პრეპარატის გამოყენებამდე გაეცანით მისი უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქციისა და გამოყენების რეკომენდაციას!"

✓ ტარის ეტიკეტი შეიძლება შეუთავსდეს უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქციასა და გამოყენების რეგლამენტს, თუკი ტექნიკურად შესაძლებელია მათი მოთავსება შეფუთვის ერთეულზე.

პესტიციდის **უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია:**

- პრეპარატის საშიშროების კლასი და ნიშანი (შესაბამისი ფერის ზოლი ტარაზე: ინსექტოაკარიციდები – მუქი ყავისფერი, ფუნგიციდები – მწვანე, თესლის შესაწამლი საშუალებები – ლურჯი, ჰერბიციდი – წითელი, ზოოციდები – ყვითელი);
- ეკოლოგიური უსაფრთხოების რეკომენდაციები (ფრინველებისათვის, ცხოველებისათვის, თევზებისათვის, ფუტკრებისთვის);
- ზოგადი გამაფრთხილებელი ღონისძიებანი (მოწევის, ჭამის, წყლის დალევის აკრძალვა პრეპარატებთან მუშაობისას);

[13] მოქმედი ნივთიერების საწყისი

- უსაფრთხოების ზომები – პრეპარატის გადაზიდვისა და შენახვისას, გამოსაყენებლად მომზადების, გამოყენებისა და მასთან მუშაობის შემდეგ;
- პირველადი დახმარების აღმოჩენის ხერხები;
- ანტიდოტი (თუ ცნობილია).

აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, რომ თუ პესტიციდით მოწამლვის შედეგების მკურნალობა შესაძლებელია სიმპტომატური მეთოდით, ანტიდოტის არსებობა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

გამოყენების რეგლამენტი:

- განმასხვავებელი (სავაჭრო) სახელწოდება, ფირმა (რეგისტრანტი);
- მოქმედი ნივთიერება საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (ISO) მიხედვით, მიკროორგანიზმის სახეობრივი სახელწოდება, შტამის, იზოლატის სახელწოდება;
- კონცენტრაცია; ცოცხალი უჯრედების ან მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტის ტიტრი, ვირუსული სხეულაკების, ჩანერთების ტიტრი;
- პრეპარატული ფორმა;
- დანიშნულება, მოქმედების სპექტრი და მექანიზმი;
- სხვა პრეპარატებთან შეთავსებადობა;
- დაცვითი მოქმედების პერიოდი;
- ზემოქმედების სიჩქარე;
- ფიტოტოქსიკურობა;
- რეზისტენტობის წარმოქმნის საშიშროება (პესტიციდის მოქმედებისადმი მავნე ორგანიზმის შეჩვევა, რის შედეგადაც მცირდება პრეპარატის ეფექტურობა. სიტუაციის გამოსასწორებლად მიზანშეწონილია სხვა ქიმიური ჯგუფის პრეპარატის გამოყენება);
- გამოყენების ტექნოლოგია – სამუშაო ხსნარის დამზადების ტექნოლოგია; გამოყენების რეგლამენტი; შემადგენელთა დასახელება.

განხილულ პესტიციდების მარკირების დებულებაში მოცემულია ძირითადად ეტიკეტის რეკვიზიტები. ამ დებულების შინაარსიდან გამომდინარე, ეტიკეტირებას აკეთებს პესტიციდების მწარმოებელი, რომელიც ვალდებულია დაიცვას შესაბამისი რეკვიზიტები. თვით ეტიკეტის დიზაინი არ მოითხოვს შეთანხმებას მცენარეთა დაცვის სამსახურთან.

საქართველოში სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებისათვის საჭირო პესტიციდების შემოტანის წესი

საქართველოში სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებისათვის საჭირო პესტიციდების შემოტანის წესით სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზების დროს უნდა იხელმძღვანელოს მცენარეთა დაცვის სამსახურმა.

ზემოაღნიშნული წესი არეგულირებს უცხოური ფირმების მიერ სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდების ჩასატარებლად გადმოცემული გამოსაცდელი პესტიციდების ნიმუშების, ეტალონური პრეპარატების, ანალიტიკური სტანდარტების საქართველოში შემოტანის პირობებს.

გამოსაცდელ ნიმუშებს წარმოადგენს უცხოური ფირმების მიერ უსასყიდლოდ შემოთავაზებული პესტიციდები, რომლებმაც უნდა გაიარონ საქართველოს ტერიტორიაზე სარეგისტრაციო გამოცდები და "მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის კანონის" თანახმად თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს მაკოორდინირებელ ორგანოს გამოსაცდელ ნიმუშებთან დაკავშირებულ შემდეგი ოპერაციების ჩატარებისას:

- შემოტანა;
- მიღება;
- დასაწყობება;
- ტრანსპორტირება;
- განაწილება;
- სარეგისტრაციო გამოცდების ჩატარება.

სამინისტრო სარეგისტრაციო ორგანოს (მცენარეთა დაცვის სამსახური) მეშვეობით ახორციელებს თავის ფუნქციას.

გამოსაცდელი ნიმუშები უნდა პასუხობდნენ გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო მოთხოვნებს.

გამოსაცდელი პესტიციდების ნიმუშების, ეტალონური პრეპარატების, ანალიტიკური სტანდარტების შემოტანის, მიღების სარეგისტრაციო გამოცდების ადგილამდე გადაზიდვის თავისებურებანი

გამოსაცდელი ნიმუშების შემოტანაზე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელების მიზნით მცენარეთა დაცვის სამსახურს ევალება შემოიტანოს, მიიღოს, აწარმოოს დოკუმენტაციის გაფორმება და მიიტანოს ნიმუშები გამოცდების ადგილებამდე.

საქართველოს კანონი "პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა

და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ" არ ვრცელდება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის განკუთვნილი პესტიციდების იმპორტზე, რომლებიც ეძვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სარეგისტრაციო გამოცდებს, სადემონსტრაციო ჩვენებებს, აგრეთვე არარეგისტრირებული პესტიციდების იმპორტზე, რომლებიც განკუთვნილია, მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად (თუ არსებობს ამგვარი ღონისძიებების ჩატარების დაყოვნების საშიშროება).

- ✓ ნიმუშების შემოსატანად ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს სარეგისტრაციო ორგანოების ნებართვის წერილი.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს ეკრძალებათ სარეგისტრაციო ორგანოსთან შეუთანხმებლად

- საზღვარგარეთიდან პესტიციდების ნიმუშების შემოტანა;
- მათი გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე;
- სარეგისტრაციო გამოცდების ჩატარება.

კონტროლის გაძლიერების მიზნით საქართველოში შემოსატანი ნიმუშების ჩამონათვალი (პესტიციდის რაოდენობის მითითებით) აისახა სარეგისტრაციო გამოცდების გეგმაში.

სარეგისტრაციო გამოცდების ჩატარებისთვის რეგისტრანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ✓ ნიმუშების (პარტიის) განსაზღვრული რაოდენობა;
- ✓ მოქმედ ნივთიერებათა ანალიტიკური სტანდარტები;
- ✓ ტექნიკური პროდუქტი.

ნიმუშების რაოდენობა განისაზღვრება სარეგისტრაციო ორგანოს მიერ, გამოცდების პროგრამის შესაბამისად.

- ✓ გამოცდების ადგილამდე ნიმუშების გადატანა ხორციელდება მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ რეგისტრანტის ხარჯზე, დაწესებულ ვადებში. ავტოტრანსპორტი აღჭურვილი უნდა იყოს დეზაქტივაციის და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებით.

გამოსაცდელი ნიმუშების (პარტიის) გადაადგილება-მიღებაზე კონტროლის განსახორციელებლად მცენარეთა დაცვის სამსახურს ევალება:

- შემოსული ნიმუშების პარტიების შემოტანა საკუთარი ან დაგირავებული საწყობის ტერიტორიაზე შესაბამის სანიტარულ და ეკოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- მკაცრი აღრიცხვით ინვენტარიზაციის ყოველწლიური წარმოება.

პრობლემები და რეკომენდაციები

მოქმედი ნორმატიული ბაზისა და რეალური სიტუაციის ანალიზის შედეგად მცენარეთა დაცვის სფეროში და მისი სახელმწიფო რეგულირების სისტემაში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და შესაბამისად შევეცადეთ, შეგვემუშავებინა გარკვეული რეკომენდაციები:

- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" კანონის მიხედვით „აკრძალული" და „მკაცრად შეზღუდული" პესტიციდების მიმოქცევა ხორციელდება ე.წ. „სპეციალური ნებართვით", რაზედაც პასუხისმგებელია მცენარეთა დაცვის სამსახური.

  „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონით არ ხდება ნებართვების სახეებად კლასიფიკაცია. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია კანონში ამგვარი ჩანაწერების არსებობა. აუცილებელია სასწრაფო ცვლილებების შეტანა ზემოაღნიშნულ კანონში „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

- საქართველოს კანონი „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ" ითვალისწინებს:

  - ✓ გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების იმპორტ-ექსპორტზე ერთჯერად ან ერთწლიან ნებართვას;
  - ✓ ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეულ პროდუქციაზე – ერთჯერადად ან 6 თვით.

  ნებართვა ერთი და იგივე საქმიანობაზე არ შეიძლება იყოს ერთჯერადიც და ვადიანიც. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონს. აბრეთვე აღსანიშნია, რომ ასეთი სიტუაცია სფეროში მოქმედ მეწარმეებს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში. ჩვენი აზრით, უმჯობესია არსებობდეს მხოლოდ ერთჯერადი ნებართვა, რადგან ის წარმოადგენს უფლებას კონკრეტული ოპერაციის განხორციელებაზე (იმპორტი, ექსპორტი ან ტრანზიტი).

- „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონის მიღებამდე პესტიციდების სფეროში რეგისტრაცია აძლევდა მეწარმეს პესტიციდების წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენებისა და რეკლამის უფლებას. აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ რეგისტრაციის დებულებაში ცვლილებები არ შეტანილა. ამრიგად, ლიცენზია/ნებართვა და რეგისტრაცია სამართლებრივად ერთი და იგივე უფლებას იძლევა, თუ არ დავამატებთ, რომ რეგისტრაცია დამატებით შენახვისა და რეკლამის უფლებას ანიჭებს.

  ვინაიდან საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო აქტს ამ სფეროში, ცვლილებები მასთან შესაბამისობაში მოსაყვანდ უნდა განხორციელდეს. საკანონმდებლო

ცვლილებებით მკაცრად უნდა გაიმიჯნოს რეგისტრაციისა და ლიცენზია/ნებართვის დანიშნულება, წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება სამართლებრივი გაურკვევლობა.

ჩვენი აზრით უმჯობესი იქნებოდა პესტიციდების სფეროში ლიცენზიის გაუქმება და რეგისტრაციის დატოვება.

რეზიუმე

წინამდებარე მოხსენებაში (მიმოხილვაში) განხილული საკითხები ლიცენზიისა და ნებართვის სფეროს მოწესრიგების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ იგი ვერ იქნებოდა ამომწურავი და სრულყოფილი შესაბამისი დარგების სპეციფიკიდან, სახელმწიფო მართვის აპარატში დღეისათვის არსებული მდგომარეობიდან, საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმების მონიტორინგის გაუმართავი და დაუხვეწავი სისტემიდან გამომდინარე. თუმცა ამ სფეროში მომუშავე ექსპერტებს, მეწარმეებს, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას არსებული პრობლემატიკის შესახებ, რამაც რთული სიტუაციიდან მართებული გამოსავლის სწორი ხედვა უნდა ჩამოუყალიბოს ყველა დაინტერესებულ პირს. ბუნებრივია, ის სირთულეები, რომლებიც დღესაც მრავლადაა ლიცენზიისა და ნებართვის სისტემაში, საჭიროებს გადაუდებელ მოწესრიგებას, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე კანონის მოთხოვნათა განუხრელი აღსრულების დონეებზე. ეს კი თავის მხრივ ჩვენი მხრიდან შემდგომი კვლევების, მონიტორინგის, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი აქტიური მხარდაჭერის საგანი უნდა გახდეს.